გაზეთი ბოლოვრია, „ვერსიაა“ ერთი

ვერსია

№59 (815) 29 - 30 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲣᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ

„ვერსიამ“ გამოძიების ექსკლუზიური მასალები და დაშიფრული სატელეფონო საუბრები მოიპოვა

ᲠᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲗᲐᲜ

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ 2011 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲣᲛᲫᲘᲛᲓᲐ!

„ᲒᲚᲓᲐᲜᲘ ᲛᲝᲚᲘ“ – ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲛᲔᲢᲠᲝ „ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲗᲐᲜ“

შეაფერხებს თუ არა საგანგებო ვითარებაში მეტროდან ხალხის ევაკუირებას სავაჭრო ცენტრი, ვინ გასცა ობიექტის მშენებლობის ნებართვა და არღვევენ თუ არა უსაფრთხოების ნორმებს ყაზახი ინვესტორები

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 40 ᲗᲔᲗᲠᲘ

ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ GPS-GPRS ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲡ

გვ. 16

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

„ᲗᲣ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ“

აღასანიას პარტიის დიდერი „ვერსიას“ პრემიერის საზეიმო მიღების დეტალებს უმხელს

გვ. 5

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ

„ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲠᲢᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ!“

რას ედავება ეკონომიკის სამინისტროს ბორჯომის მაჟორიტარი და რას პასუხობენ მას კვირიკაშვილის უწყებიდან

გვ. 6

„ᲕᲘᲡᲝᲚᲓᲐ“ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲒᲐᲐᲪᲜᲝ

გუნდში თბილისის „დოკომოტივისა“ და გორის „დიდას“ ფეხბურთელები, ასევე ესპანელი მწვრთნელები გადადიან!

გვ. 7

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲨᲘ ᲔᲓᲔᲑᲐ ᲑᲠᲐᲚᲘ?

რა მასალების შესწავლა დაიწყო ნოდარ ხადურის უწყებამ

გვ. 12

„ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲛᲐᲠᲩᲔᲚᲝ“, „ᲗᲣᲙᲘ ᲒᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ“ ᲐᲜ „ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲝᲒᲝ“ ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲚᲔᲠᲝᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲔ ᲒᲐᲕᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲘ“

რატომ გაწევრიანდა მემარცხენე ალიანსში და ანსახიერებს თუ არა სერიადში საკუთარ თავს ნუგზარ ერგემლიძე?!

გვ. 11

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲝᲔᲢ ᲕᲐᲟᲐ ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲡ?

გვ. 7

ვანო მერაბიშვილს პროკურატურამ ბრალი 2011 წლის 26 მაისის აქციის გამო დაუმძიმა

სწორედ იმ დღეს, როცა ნაციონალებმა და მათმა მხარდამჭერებმა, ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, ღამის ქვეყნის მასშტაბით, აქციები მოაწყვეს, მთავარმა პროკურატურამ პრეზიდენტის პარტიის გენმდივანს ბრალი დაუმძიმა.

28 მაისს, საქართველოში შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს, რომელიც ამჟამად, პატიმრობაში იმყოფება, მთავარმა პროკურატურამ კიდევ ერთი ბრალდება წაუყენა. ამჯერად, საქმე ეხება 2011 წლის 26 მაისის აქციის დროს მომიტინგეების დაშლას. წარდგენილი ბრალდება კი ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2011 წლის 26 მაისს იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით, დაიგეგმა არა საპროტესტო აქციის დაშლის, მონაწილე პირების შეკრების ადგილიდან პროპორციული ძალის გამოყენებით გაძევებისა და გაფანტვის ორგანიზებული ლეგიტიმური ღონისძიება, არამედ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებზე ფართომასშტაბიანი და განურჩეველი თავდასხმა, რომლის გამოკვეთილი მიზანი იყო მასობრივი დაკავება, დაშინება, დასჯა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების განხორციელება.

მერაბიშვილისთვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით, **„26 მაისს პოლიციამ წინდაწინ გადაკეტა მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის, კინოთეატრ „რუსთაველისა“ და სხვა მიმდებარე ქუჩები. დაახლოებით 00:10 საათზე, პირადად ივანე მერაბიშვილის ბრძანებითა და კონტროლით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საპირისპიროდ, კერძოდ, მომიტინგეებისთვის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვებისთვის აუცილებელი გონივრული ვადის მიცემის გარეშე, მხოლოდ ფორმალური გაფრთხილების შემდეგ, საპოლიციო ქვედანაყოფებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მიტინგის დაშლის ოპერაცია.**

წყალსატყორცნი საშუალების გამოყენებისთანავე, არსებითი წინააღმდეგობის გარეშე, მომიტინგეები შეეცადნენ გაქცევას, თუმცა წინასწარ შეთანხმებული ზემოაღნიშნული გეგმის შესაბამისად, მათ განზრახ არ მიეცათ ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლისა და პოლიციის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა. შესაბამისად, აღყაშემორტყმულ მშვიდობიან მოქალაქეებზე, ერთდროულად და ინტენსიურად, რამდენიმე მიმართულებიდან განხორციელდა რეზინის ხელკეტებითა და ტყვიებით აღჭურვილი პოლიციის რაზმების იერიში, როგორც ქუჩაში, ასევე შენობებში, რა დროსაც შეგნებულად გამოყენებულ იქნა გაუმართლებლად არათანაზომიერი და გადაჭარბებული ძალა. შედეგად, გარდაიცვალა ორი (მათი სიკვდილის მიზეზის დასაზუსტებლად გამოძიება გრძელდება), დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო სამასამდე ადამიანმა. უსაფუძვლოდ დაკავებულ იქნა რამდენიმე ათეული პირი“.

მთავარი პროკურატურის ცნობით, გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირებისა და შეცდომაში შეყვანის მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე მოახდინა მხოლოდ თვალთმაქცური რეაგირება. კერძოდ, არსებული ვითარების გაუბრალოებისა და, რაც მთავარია, დანაშაულში ივანე მერაბიშვილისა და მაღალი თანამდებობის სხვა პირების მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით, მოჩვენებითად დაისაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 თანამშრომელი, რომელთაგან არც ერთი უშუალოდ არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში. მათ შორის, საყურადღებო და ხაზგასასმელია, რომ სამი მათგანი აქციამდე იყო დათხოვნილი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

ბრალის დამძიმების შემდეგ, დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ 26 მაისის მონაწილეები მზად არიან, ვანო მერაბიშვილისთვის ბრალის დასამძიმებლად, პროკურატურას დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ. ამ ფონზე, კიდევ შეიცვლება თუ არა ვითარება, უცნობია. ბურჯანაძე იმასაც აცხადებს, რომ 2011 წლის სისხლიანი 26 მაისის გამო, არანაკლები პასუხისმგებლობა პრეზიდენტ სააკაშვილსაც ეკისრება, ამაში კი, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს, უმრავლესობის არაერთი წევრიც ეთანხმება.

მერაბიშვილს ქუთაისის სასამართლომ წინასწარი პატიმრობა 22 მაისს შეუფარდა. პროკურატურამ, თავდაპირველად, ბრალი ყოფილ პრემიერსა და შინაგან საქმეთა ექსმინისტრს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით წაუყენა (ამომრჩევლის მოსყიდვა, მითვისება/გაფლანგვა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), რაც ითვალისწინებს 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ეს ბრალდებები ეხება 2012 წელს დასაქმების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას და კერძო საკუთრების — კვარიათში საცხოვრებელი სახლის მითვისებას. პირველ შემთხვევაში, პროკურატურა მიიჩნევს, რომ სოციალური აგენტები ამ პროგრამის ფარგლებში თვალთმაქცურად დაასაქმეს და ისინი, სინამდვილეში, წინასაარჩევნო პერიოდში ასრულებდნენ ნაცმოძრაობის პარტიულ დავალებებს. იმ დროისთვის, მერაბიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც ასევე დააკავეს და 22 თებერვალს აღმკვეთ ღონისძიებად გირაო შეუფარდეს — ჯანდაცვის მინისტრი.

28 მაისს წარდგენილი ბრალდების გარდა, პროკურატურა, სავარაუდოდ, მერაბიშვილს ბრალს კიდევ დაუმძიმებს სანდრო გირგვლიანის საქმის გამო.

„ვერსიანიუსი“

„ვანო მერაბიშვილის დაჭერა რუსეთის მოთხოვნა იყო!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ყოფილმა პარლამენტარმა და საქართველოს ელჩმა იტალიაში, კოტე გაბაშვილმა რუსეთის მიერ საზღვრისპირა სოფლებში ე.წ. მცოცავი ანექსიის მიზეზები პრესკონფერენციაზე შეაფასა. მისი თქმით, „საზღვრისპირა სოფლებში მოვლენები ისე ვითარდება, როგორც რუსული ლოგიკით იყო მოსალოდნელი. არ ვიცი, რა კონკრეტული ამოცანები აქვს რუსეთს, როცა ამას აკეთებს, მაგრამ ეს შეურაცხყოფისა და დამცირების პოლიტიკაა, რასაც რუსეთი ჩვენს მიწაზე ეწევა. ყველას კარგად ესმის, რომ არანაირი სათესი და საყანე ტერიტორია არ აინტერესებს, უბრალოდ, მთელი ქვეყნის მიმართ დაცინვა და ცინიზმის გამოხატულებაა! ალბათ, ამას ხელი რაღაცებმაც შეუწყო“, — განაცხადა კოტე გაბაშვილმა და „ვერსიის“ რამდენიმე კითხვასაც უპასუხა.

— რუსეთის ამ მოქმედებას ქართულმა მხარემ ოფიციალურად სამი დღის შემდეგ უპასუხა, რაც მიუთითებს, რომ ადეკვატური რეაქციებისადმი მუდმივი მზაობა არ გვაქვს და მოდუნებულები ვართ. ჩანს, საჭიროა ხანგრძლივი შეთანხმებები, რა და როგორ უნდა ითქვას რუსების მისამართით. სწორედ ამან გამოიწვია ოფიციალური პოზიციის გაჟღერების დაგვიანებაც.

— ვისთან თანხმდება ეს გადაწყვეტილებები?

— ჩანს, საგარეო საქმეთა სამინისტრო ამას მარტო არ აკეთებს და მთავრობის ხელმძღვანელობასთან უწევს შეთანხმება, რაშიც გარკვეული დრო იკარგება. ეს, თავისთავად, ცუდია, რადგან რუსეთის კრიტიკა აქტუალური აღარაა, ხოლო ზოგადი პოლიტიკა — ძველებურად მკვეთრი. ცალკე, ოკუპაციის შესახებ კანონზეც ამდენი ჭიდილია პარლამენტში და გარკვეულ ფონს ესეც ქმნის. უნდა გავიგოთ, ბოლოს და ბოლოს, რომ ღვინისა და ბორჯომის სანაცვლოდ, მეგობრობას რუსეთისგან ვერასოდეს მივიღებთ! აქამდე ამ ქვეყნის წინააღმდეგ მხოლოდ შეურიგებლობის, ზეწოლის პოლიტიკა მოქმედებდა, ახლა რაღაცები იცვლება.

— ბოლო დროს, რუსეთმა მსგავსი მოქმედებები გაახშირა — სამხედრო აგრესიის გამეორების საფრთხე იკვეთება?

— რუსეთს არანაირი აგრესია არ სჭირდება — ისე მოდის და აბამს იმ მავთულხლართებს, არც ტანკი ჰყავს, არც ისვრის, ვერავინ ვერაფერს ეტყვის. ამბობს, უკაცრავად, აქ ღობე გავატარეო და მორჩა. ახლახან ვიღაცამ იხუმრა, თითო ბოთლ ღვინოში საზღვარი 300 მეტრით თუ გადმოიწია, ცოტა ხანში თვითონ ვიყიდით ღვინოს რუსეთისგანო და ასეცაა! დღეს რუსეთს აგრესიის გამეორება არაფერში სჭირდება, მაგრამ თუ დასჭირდა, მაშინ არავითარი წინაპირობა არ გაჩერებს. თავზე ხელს თუ აიღებს, ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც ჩვენ ვართ, მასთან დაპირისპირება მხოლოდ საერთაშორისო ზეწოლით შეეძლება.

— შიდაპოლიტიკური მოვლენებიც შევაფასოთ — მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ვანო მერაბიშვილის დაკავებაა...

— ახლა ვიტყვი იმას, რაზეც სხვები ნაკლებად საუბრობენ: ვანო მერაბიშვილი არის შინაგან საქმეთა ის მინისტრი, რომლის დროსაც რუსეთს 6-7 გახმაურებული ოპერაცია ჩაეშალა... ამით მერაბიშვილმა რუსეთის სპეცსამსახურებს დარტყმა მიაყენა და პუტინით დაწყებული, მისი რიგითი თანამშრომლების ჩათვლით, ვანოს მიმართ ყველას განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა. თავს ვაძლევ უფლებას და ვამბობ — ახალმა ხელისუფლებამ რუსეთს რაღაცები აშკარად დაუთმო. მაგალითად, ე.წ. პოლიტპატიმრების გამოშვების აქციის ქვეშ, გავათავისუფლეთ ფაქტობრივად ყველა, ვინც კი ჯაშუშობის მუხლით იყო დაკავებული, თუმცა რუსეთმა ეს არ იკმარა — უშუალოდ, იმის დასჯა სურდა, ვინც მისი ჯაშუშები თავის დროზე დაიჭირა, ეს კი ვანო მერაბიშვილია. როგორც ჩანს, რუსეთს გარკვეული არხები კიდევ გააჩნია, საქართველოს მსგავსი მოთხოვნები წაუყენოს.

— ანუ მერაბიშვილის დაკავება რუსეთის მოთხოვნაა?

— ვფიქრობ, ეს მისი სერიოზული მოთხოვნაა! ამას როგორ აკეთებს, რეკავს, ვინმე თავისიანს აბარებს, თუ რას შვრება, არ ვიცი. აქ რომ „მისიანები“ არიან, ეს ჩემთვის სრულიად ცხადია.

— დააკონკრეტეთ, ვინც არის აქ „მისიანი“?

— რას ჰქვია, დავაკონკრეტო, კონტრდაზვერვის უფროსი ხომ არ ვარ?! ვაკეთებ ანალიზს, როგორც პოლიტიკოსი, თუმცა რაღაც ეჭვებიც მაქვს. „ოცნებაში“ არსებულ რევანშისტულ ფლანგს სურს, ნაციონალური მოძრაობა დაასუსტოს, ამიტომ მერაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატობაზე უფრო მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, ისაა, რომ იგი ნაციონალების გენერალური მდივანია და მთელი პარტიის ინფრასტრუქტურას ხელმძღვანელობდა. ჩანს, ეს „ოცნების“ ანალიტიკოსებმა დაგეგმეს და, შესაბამისად, მერაბიშვილიც დააკავეს. ჯამში, ეს ყველაფერი მიზნად საქართველოში დასავლური ორიენტაციის მქონე მძლავრი პარტიის მოსპობას ისახავს!

რა კავშირი აქვს გიგი უგულავას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკანდალთან?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2013 წლის 1 მაისს, მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცალკეული თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, შს სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარ სამმართველოს დაავალა, რომელსაც შს მინისტრის მაშინდელი პირველი მოადგილე, გელა ხვედელიძე კურირებდა... რა მოხდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში? რატომ დააკავეს მაღალი თანამდებობის პირები და რეალურად, რას ითხოვს მათგან გამოძიება? რა სტანდარტები დაადგინა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის განსახორციელებლად სატენდერო კომისიამ? „ვერსიას“ ხელთ ჩაუვარდა გამოძიების კონფიდენციალური მასალები, რომლებსაც ექსკლუზიურად გთავაზობთ. კითხვებზე პასუხების გაცემას კი სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობითა და ადვოკატების დახმარებით ვეცდებით.

„ვერსიამ“ გამოძიების ექსკლუზიური მასალები და დაშიფრული სატელეფონო საუბრები მოიპოვა

სატენდერო პირობები

2012 წლის 11 დეკემბერს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნომენკლატურისა და სპეციფიკაციის შედგენის მიზნით, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, დავით კირვალიძის 2012 წლის 7 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, სამინისტროში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. მისი ნევრები იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი ომარ თედორაძე, ხვიჩა ბოჭოშვილი — სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, გიორგი გაგუა — იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი, ვაჟა ნახუცრიშვილი — შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორი, ბესიკ თეთვაძე — შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, მამუკა ივანიძე — შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, ივანე ბოკუჩავა — შპს „მექანიზატორის“ აგრარული სერვისის სამსახურის უფროსი, გიორგი მარდალეიშვილი — შპს „მექანიზატორის“ მექანიზაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ზაზა მახარობლიძე — აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის დირექტორი და ოთარ ქარჩავა — აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სამუშაო ჯგუფმა იმ ტრაქტორების სპეციფიკაციები განსაზღვრა და დაადგინა, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამისთვის, უფრო ზუსტად, მცირემიწიანი ფერმერების დასახმარებლად, ტენდერით უნდა შეესყიდათ. „ვერსიას“ ხელთ ჩაუვარდა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რომელზეც უპირატესობა 115-ცხენისძალიანი სიმძლავრის ტრაქტორებს მიანიჭეს. სხდომის ოქმის მიხედვით, მაგალითად, ბესიკ თეთვაძე აცხადებს, რომ საქართველოში არსებული მიწის ნაკვეთების დაყოფიდან (გულისხმობს საკუთრებაში არსებული 0,5 ჰექტრიდან 1 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთებს), ეფექტურია 115 და უფრო მეტი ცხენისძალის სიმძლავრის მქონე ტრაქტორები. ეფექტურია, როგორც საწვავის ხარჯის, ასევე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. მახარობლიძე ამბობს, რომ სახნავი ტექნიკის შერჩევისას, გასათვალისწინებელია არსებული ნიადაგური პირობები. 115-ცხენისძალიანი სიმძლავრის ტრაქტორები. მახასიათებლებიდან გამომდინარე, ამ ტიპის ტრაქტორები ნებისმიერი სახის ოპერაციებს ასრულებს.

რაც შეეხება სატენდერო კომისიას, მასში შედიოდნენ: ვაჟა ნახუცრიშვილი, მამუკა ივანიძე, გიორგი ჩხეიძე — სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დირექტორი, დავით გელაშვილი — საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე, ირაკლი ქარსელაძე — საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე. სამუშაო ჯგუფის დადგენილი სპეციფიკაციების მიხედვით, სატენდერო კომისიამ გამოავლინა იმ ტრაქტორების სიმძლავრე, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში უნდა შეეძინათ, თუმცა ტრაქტორების გარდა, სატენდერო კომისიამ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური საშუალებებიც გამოავლინა.

მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ირაკლი ქარსელაძე სატენდერო კომისიის ერთადერთი წევრია, რომელიც ამ კომისიაში პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი იყო. ცხადია, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში არსებულ დარღვევებზე მას გაცილებით მეტი ინფორმაცია ექნებოდა. „ვერსია“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის უფროსს, ნონა ყანდიაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც გაანაცხადა, რომ ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, არა მარტო ირაკლი ქარსელაძე, არამედ სატენდერო კომისიის არც ერთი წევრი, კომენტარს არ გააკეთებს!

ბრალდების ოფიციალური ნაწილი

ბრალდების მთავარი ნაწილი ჩეხური კომპანია „ზეტორის“ წარმომადგენელს ამიერკავკასიაში, გივი ქაიხოსროშვილს უკავშირდება. მას ბრალი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის გამო წაუყენეს. სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებიც სწორედ „ზეტორთან“ დაკავშირებით დააკავეს. „ვერსიამ“ მოიპოვა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, რასაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ: **„2013 წლის აპრილში, გივი ქაიხოსროშვილმა შეიტყო, რომ საექსპერტო კვლევაში ექსპერტების მიერ გამოყენებული იყო კომპანია „ზეტორის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული „ზეტორ პროქსიმა 120“-ის ძრავის — Z 1405-ის სპეციფიკაცია, რომლის თანახმად, ძრავის გამოყენებადი ცხენისძალების ოდენობად მითითებული იყო 110. ეს წინააღმდეგობაში მოდიოდა სპეციფიკაციების დამდგენი კომისიის მიერ განსაზღვრულ ოდენობებთან, რომელსაც გამოძიება მტკიცებულებად გამოიყენებდა. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიკაციის მიზნით, 2013 წლის 20 აპრილს, გივი ქაიხოსროშვილი, საკუთარი მობილური ტელეფონით, შპს „მექანიზატორის“ დირექტორ ვაჟა ნახუცრიშვილთან ერთად, კომპანია „ზეტორის“ პასუხისმგებელ პირს, ვინმე ვლადისლავს ესაუბრა (ამ საუბრის დაშიფრულ შინაარსს ამავე სტატიაში გთავაზობთ, — ავტ.). მიუთითა, შეეცვალა ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ცხენის ძალების რაოდენობა და დაეფიქსირებინა 117, რაც განხორციელდა კიდეც.**

საქართველოში კომპანია „ზეტორის“ ოფიციალური წარმომადგენელი ორგანიზაციის, შპს „ტექაგროსერვისის“ მენეჯერ გივი ქაიხოსროშვილისთვის, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს შსს ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის, 2013 წლის 5 აპრილის დადგენილებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ტრაქტორ „ზეტორ პროქსიმა 120“-ს და ტრაქტორ „ნიუ ჰოლანდ TD 5 110“-ის ტექნიკური მახასიათებლების შედარების მიზნით, დანიშნული იყო სასამართლოს ავტოტექნიკური ექსპერტიზა. გამოძიების მიერ ექსპერტად მიწვეული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა შაფაქიძე. მასთან, გივი ქაიხოსროშვილს, წლების განმავლობაში, გარკვეული ურთიერთობები აკავშირებდა. ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორის უპირატესობა „ზეტორთან“ მიმართებაში. ექსპერტიზის დასკვნის შეცვლის მიზნით, ქაიხოსროშვილმა რამდენჯერმე მიმართა ექსპერტ ელგუჯა შაფაქიძეს და სთხოვა, დასკვნაში არ დაეფიქსირებინა „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორის უპირატესობა, რითაც სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის პირველი ნაწილით, დანაშაული ჩაიდინა“.

„გარიაჩკინის“ მეთოდი გამოძიებაში

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა კარგად იციან „გარიაჩკინის“ მეთოდის შესახებ. უფრო გასაგებად რომ ავხსნათ, ესაა მეთოდი, რომლითაც ტრაქტორების მონაცემები მოწმდება. „გარიაჩკინის“ ფორმულის მიხედვით, რაც უფრო მძიმეა ტრაქტორი, მით მეტი სიმძიმის ძალა აქვს, ნაკლებად „ბუქსაობს“ და გაცილებით მეტ ფართობს ხნავს. სოფლის მეურნეობის გამოცდილმა სპეციალისტებმა „ვერსიას“ ისიც განუმარტეს, რომ თუ „გარიაჩკინის“ ფორმულაში, ამა თუ იმ ტრაქტორის არასწორ ტექნიკურ მონაცემებს ჩასვამთ, ყველაფერი თავდაყირა დადგება. სწორედ „გარიაჩკინის“ მეთოდის მიხედვით, ექსპერტებს — შაფაქიძესა და ბედიას, „ზეტორ პროქსიმა პაურისა“ და თურქული „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორების არასწორი მონაცემები მიაწოდეს. ამ ფორმულის მიხედვით, ექსპერტებმა „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორების უპირატესობა დაადგინეს „ზეტორთან“ მიმართებაში და, შესაბამისად, ჩეხური წარმოების ტრაქტორებში, ზედმეტად გადახდილი 9 000 ევროს არამიზნობრიობაც გამოკვეთეს!

სოფლის მეურნეობის გამოცდილი ექსპერტები „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებენ, რომ სახელმწიფომ ტენდერი 115-ცხენისძალიან ტრაქტორზე გამოაცხადა. თურქული „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორების მაქსიმალური სიმძლავრე 110 ცხენისძალაა. ჩეხური „ზეტორი“ კი 115, 117 და 120-ცხენისძალიან ტრაქტორებს აწარმოებს. გარდა ამისა, „ზეტორი“ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, საკმაოდ ცნობილი ბრენდია. კარგად ინფორმირებულმა წყარომ „ვერსიას“ განუცხადა, რომ გამოძიება სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც სატენდერო კომისიასა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საჩივრის წერილით თურქული კომპანია „ნიუ ჰოლანდის“ საქართველოში წარმომადგენლობამ „ჯი თი გრუპმა“ მიმართა.

ბრალდების ოფიციალური ნაწილი, რომლითაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და დაკავებულ პირებს ბრალი წაუყენეს, წყაროს ინფორმაციით, „ჯი თი გრუპის“ საჩივრის წერილის იდენტურია! მეტიც, წყარო ამბობს, რომ „ჯი თი გრუპს“ ნაციონალური მოძრაობის საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები ლობირებენ, მათ შორის აშკარად გამოკვეთილია თბილისის მერის, გიგი უგულავას ინტერესები. წყარო გვიამბობს, რომ თავის დროზე, „ჯი თი გრუპმა“ შემოიყვანა საქართველოში ყვითელი ავტობუსები. წყაროს ინფორმაციით, „ჯი თი გრუპს“, ბაზარზე „ტექაგროსერვისისა“ და „ზეტორის“ სახით, კონკურენტის გამოჩენა არ გახარებია და მთელი ეს სკანდალი, მხოლოდ და მხოლოდ კონკურენტი კომპანიის ბაზრიდან გაძევებას უკავშირდება.

„ჯი თი გრუპის“ დირექტორი ბრალდებებს უარყოფს

„ვერსია“ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ტენდერში მონაწილე კიდევ ერთ კომპანია „ჯი თი გრუპის“ დირექტორს, **ლევან გოგსაძეს** დაუკავშირდა, რომელიც წყაროს ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს:

— ბატონო ლევან, თქვენ წამოიწყეთ ეს სკანდალი სოფლის მეურნეობაში, რათა ბაზრიდან კონკურენტი კომპანია შპს „ტექაგროსერვისი“ გააძევოთ?

— არა, ეს აბსოლუტური სიცრუეა. არავითარი სკანდალი არ წამოგვიწყია. საერთოდ, ტრაქტორების შემოტანა ჩვენი ერთადერთი ბიზნესი არ არის. სხვადასხვა სახის ავტომობილები, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შემოგვაქვს. გასული წლის ბოლოს, როდესაც ეს შესყიდვა ცხადდებოდა, ბუნებრივია, ჩვენც მიგვიწვიეს, როგორც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთ-ერთი მომწოდებელი. მოგვიანებით კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ტენდერის პირობები გაასაიდუმლოეს. ამასთან დაკავშირებით პრეტენზიაც გვქონდა, რაც არაერთხელ, წერილობითაც კი დავადასტურეთ. სხვათა შორის, კონკურენტი კომპანიების წარმომადგენლებსაც ვაცნობეთ ჩვენი პრეტენზია, შევადგინეთ ერთობლივი წერილი და ჩვენს გარდა, ხელი მათაც მოაწერეს.

დასასრული მე-4 გვერდზე

რა კავშირი აქვს გიგი უგულავას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკანდალთან?

მე-3 გვერდიდან

ჩვენს მიმართ ბრალდებები ვიღაცის მიერ აგორებული ბინძური პიარია. ჯერ ერთი, „ნიუ ჰოლანდი“ თურქული კი არა, უდიდესი ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომელიც მოცულობითა და გაყიდვებით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

— წყარო გვიამბობს, რომ თქვენს კომპანიას ნაცმოძრაობის მაღალი თანამდებობის პირები ლობირებენ. განსაკუთრებით, თბილისის მერი გიგი უგულავა, ასეა?

— ძალიან სასაცილოა... ბატონ გიგი უგულავას არასოდეს შევხვედრივარ და არც კი ვიცნობ. იმის გამო, რომ ტენდერთან დაკავშირებით პრეტენზია გვქონდა, რაღაც ხომ უნდა დაებრალებინათ? მარტივად დასაბრალებელი თემა იპოვეს — ამ კომპანიას პოლიტიკოსები ლობირებენო.

— კიდევ ერთი დეტალი დავაზუსტოთ, თავის დროზე, ყვითელი ავტობუსები „ჯი თი გრუპმა“ შემოიყვანა?

— „ჯი თი გრუპის“ შვილობილმა კომპანია „ჯი თი მოტორსმა“, რომელიც საავტომობილო დილერია საქართველოში და სამ ბრენდს, „ფორდ მოტო კომპანის“, „სუძუკსა“ და „ლენდროვერს“ აერთიანებს. თბილისის მერიამ ჩაატარა ტენდერი, სადაც რამდენიმე კომპანიამ გაიმარჯვა. ეს სახელმწიფო შესყიდვა კი არა, ტენდერი იყო, სადაც სხვადასხვა კერძო კომპანიამ გაიმარჯვა. გიდასტურებთ, რომ ყვითელი ავტობუსები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა „ჯი თი მოტორსისგან“ იყიდეს.



საბაჟოების კომიტეტზე წარსადგენად
ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა, 9 მაისი 2013წ.

დადასტურების წერილი

საგანი: შპს „მექანიზატორისთვის“, რომლის რეგისტრირებული იდენტიფიკაციისმოგებელი საქართველო, თბილისი, 0109, ზემო ალექსეევკა, ნაკვეთი N002/027, 2013 წლის მარტის/აპრილის თვის განმავლობაში სასოფლო სამეურნეო მანქანების შესყიდვის ხელშეკრულების N&GE2013/01 საფუძველზე Zetor Proxima Power 120 და Zetor Forterra Power 140-ის ტექნიკური სპეციფიკაციების (როგორც თანდართულია ქვემოთ) დადასტურება.

„ZETOR TRACTORS a.s.“-ის, კომპანია რომლის რეგისტრირებული იდენტიფიკაციისმოგებელი ჩეხეთის რესპუბლიკა, საფოსტო ინდექსი 628 00, ტრნკოვას 111, ბრნო, ს/კ 269 21 782, რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში ბრნოში, სექცია B, ნომერი № 4126, ტექნიკური დეპარტამენტი, რომელმაც მიაწოდა ტრაქტორები შპს „მექანიზატორს“ ხელშეკრულების N&GE2013/01 საფუძველზე.

იდასტურებს, რომ

1. „ZETOR TRACTORS a.s.“-მა აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრაქტორები სპეციფიკაციის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია კომპანიებს შპს „მექანიზატორი“ და „ZETOR TRACTORS a.s.“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში N&GE 2013/01, დანართი N3.
2. ტრაქტორი Zetor Proxima Power 120-ის ძირითადი აღჭურვილობის წონა არის 4004 კგ (ეროვნული დამტკიცებული ბალასტური წონის გარეშე).
3. ტრაქტორი Zetor Proxima Power 120-ის წონა მაქსიმალური ბალასტური წონით არის 4740 კგ.

„ZETOR TRACTORS a.s.“

ტომაშ მრეზეკი
ტექნიკური დეპარტამენტის მოადგილე
/ხელმოწერილია/

სტანისლავ პიტაშ
კვლევისა და დამუშავების საბჭოს უფროსი
/ხელმოწერილია/

ბ-ნ ჯირი სმისეკი

ZETOR TRACTORS a.s.

ტრნკოვა 111

CZ-628 00 ბრნო

ჩეხეთის რესპუბლიკა

29 აპრილი, 2013წ.

მეგობარო ბატონებო,

გაცემულია საჭიროებისამებრ წარსადგენად

როგორც თავდაპირველი ანგარიშების გამცემი ორგანიზაცია, ჩვენ ვადასტურებთ, რომ ტრაქტორის ZETOR Proxima ტ/მ 120 მოდელი, ZETOR Proxima ძალის მასშტაბით EC ტიპის ნომრით e8*2005/67*0006*06:

- მორგებულია ძრავაზე Z 1405 (ალტერნატიულად Z 1406);
- Z 1405 (ალტერნატიულად Z 1406) ძრავის ძალა დირექტივის 2000/25/CE მიხედვით, არის 86,2 კვ (117HP).

პატივისცემით.

პიტერ პერნის
დირექტორი
ხელმოწერილია

მოწმეთა ჩვენებები საქმეში

ოფიციალურად, გამოძიება მხოლოდ ერთადერთი მოწმის, ექსპერტ ელგუჯა შაფაქიძის ჩვენებას დაეყრდნო, სისხლის სამართლის საქმე აღძრა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის, სამუშაო ჯგუფისა და სატენდერო კომისიის რამდენიმე წევრი დააკავა. შაფაქიძის ჩვენების მიხედვით, მასთან სამსახურში მივიდა შპს „ტექაგროსერვისის“ წარმომადგენელი გივი ქაიხოსროშვილი, რომელსაც 2003-2004 წლებიდან იცნობდა: **„გივი ქაიხოსროშვილმა მითხრა, რომ შპს „ტექაგროსერვისი“ იყო კომპანია „ზეტორის“ ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და წარმოადგენდა მის ბიზნესს. ვინაიდან ის „ზეტორის“ ოფიციალური წარმომადგენელი იყო და ლობირებდა ამ კომპანიას, დაინტერესებული იყო დასკვნის ისეთი ფორმით გაცემაში, რომ არ დაზარალებულიყო „ზეტორი“ და, შესაბამისად, მისი ინტერესები. ამასთან, ქაიხოსროშვილმა მითხრა, რომ მისთვის ცნობილი იყო ჩემი და ექსპერტ ბედიას დასკვნის შედეგებიც, სადაც მითითებული იყო „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორის უპირატესობა „ზეტორთან“ მიმართებაში. გივი ქაიხოსროშვილი მთხოვდა, კარგი იქნებოდა, თუ შეიცვლებოდა დასკვნა და დაფიქსირდებოდა კომპანია „ზეტორის“ მიერ წარმოებული ტრაქტორის უპირატესი პარამეტრები „ნიუ ჰოლანდთან“ მიმართებაში, რაზეც არ დავეთანხმე და ექსპერტიზის ისეთი დასკვნა გავეცი, როგორიც დღეს არის“.**

გივი ქაიხოსროშვილის ადვოკატის, **კახა ხვისტანის** თქმით, ეს ჩვენება იმის საფუძველია, რომლითაც მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, გივი ქაიხოსროშვილს, 372-ე მუხლის პირველი ნაწილით წაუყენეს ბრალდება, რაც ყალბი დასკვნის გაცემის მიზნით, ექსპერტის დაყოლიებას გულისხმობს და თავისუფლების აღკვეთას ნულიდან 3 წლამდე ვადით ითვალისწინებს: **„სხვა ჩვენება, რითაც ექსპერტები ყალბი დასკვნის გასაცემად დაიყოლია, საქმეში არ მოიპოვება და არ არსებობს. გივი ქაიხოსროშვილი „ზეტორის“ ოფიციალური წარმომადგენელია ამიერკავკასიაში და ლობირებს მის კომპანიას. ბუნებრივია, დაინტერესებული იყო დასკვნის შედეგებით და როგორც „ზეტორის“ ოფიციალურ წარმომადგენელს, უფლება ჰქონდა, ამ კომპანიის წარმოებული ტრაქტორების შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინა ნებისმიერი პირისთვის, მათ შორის, ექსპერტებისთვისაც. გარდა ამისა, ექსპერტი შაფაქიძე ჩვენებაში აცხადებს, რომ დაადგინა „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორის უპირატესობა „ზეტორთან“ მიმართებაში. ეს დიდი შეცდომაა, რადგან ამ ტიპის დასკვნის გასაცემად, ტრაქტორები საველე პირობებში უნდა გამოსცადონ, რაც გამოძიებას არ გაუკეთებია“.**

დაშიფრული სატელეფონო საუბრები

„ვერსიას“ ხელთ ჩაუვარდა დაშიფრული სატელეფონო საუბარი, რომელსაც ბრალდება ეყრდნობა. თავდაპირველად, გივი ქაიხოსროშვილი „ზეტორის“ წარმომადგენელ, ვინმე ვლადისლავს ესაუბრება, შემდეგ საუბარში ერთვება ვაჟა ნახუცრიშვილიც. კერძოდ, გივი ქაიხოსროშვილსა და ვაჟა ნახუცრიშვილს ინფორმაციის დაზუსტება სურთ: **„ვლადისლავ, ჩვენი კონკურენტები როგორღაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ „ზეტორ პროქსიმა“ 110-ცხენისძალიანია. რა თქმა უნდა, შევედით ინტერნეტში და იქ წერია ძრავი — 81 კილოვატი საათში, ანუ 110... ისინი უყურებენ Z 1405-ს, რომლის დახასიათებაში მითითებულია, რომ ეს 81 კილოვატია, ანუ 110 ცხენის ძალა. ისინი ამას ეყრდნობიან და ამბობენ, რომ ეს ტრაქტორები 117-ცხენისძალიანი კი არა, 110-ცხენისძალიანია. რით შეგვიძლია ამის უარყოფა?“**

ვლადისლავი გივი ქაიხოსროშვილსა და ვაჟა ნახუცრიშვილს პასუხობს, რომ „ზეტორ პროქსიმას“ რამდენიმე მოდელი არსებობს, მათ შორის, „პროქსიმა პაუერ“ 100, 110 და 120: **„ამის დაზუსტება ადვილია, ისინი, უბრალოდ, უყურებენ ძრავის სტანდარტულ მაჩვენებლებს. თუ ტრაქტორების განყოფილებაში შეხვალთ, ნახავთ „პროქსიმა პაუერ“ 100, 110 და 120 ტიპის ტრაქტორებს. ეს ტრაქტორები მთელ ევროპაში გვაქვს სერტიფიცირებული, თავისთავად, მთელი ევროპული სერტიფიკაციით, ძრავების გადაყვანის სამი ვარიანტი გვაქვს. თქვენ ტენდერის დავალებით, დაგიყენდათ „პროქსიმა პაუერ“ 120, რაც „პაუერის“ ყველაზე მძლავრი ვარიანტია, რომელსაც ნომინალში 117 ცხენისძალა აქვს“.**

ამის შემდეგ გივი ქაიხოსროშვილი და ვაჟა ნახუცრიშვილი, ვლადისლავს სთხოვენ, რომ ეს ყველაფერი წერილობით აცნობოს. თუ საჭირო გახდა, ქართული მხარე მზადაა, ამაზე განაცხადიც კი გაუგზავნოს „ზეტორს“.

„ვერსიას“ ხელთ ჩაუვარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების დაშიფრული სატელეფონო საუბრებიც. ინფორმაციის კონფიდენციალობიდან გამომდინარე, მათ ვრცლად შეგნებულად არ ვაქვეყნებთ, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროში განვითარებული მოვლენების გამო, რასაც მინისტრის, დავით კირვალიძის გადადგომა მოჰყვა და იმის გათვალისწინებითაც, რომ ამ საქმის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესია, სატელეფონო საუბრების შინაარსს მოკლედ გადმოგცემთ.

მაშ ასე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები ერთმანეთში განიხილავენ პრემიერ-მინისტრის განცხადებას, როცა ივანიშვილმა თქვა, ერთ-ერთი სამინისტროს მიმართ კითხვები გამიჩნდაო. დაშიფრულ საუბრებში ჩანს, მათ მიაჩნიათ, რომ პრემიერი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, სოზარ სუბარს გულისხმობდა. თანამდებობის პირები ამ ფაქტს იმით ამყარებენ, რომ **„სუბარი სვამს, სიტუაცია არეული აქვს და თავზე ემხობა“...** რაც შეეხება აქცენტს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ზოგადად, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდზე, სატელეფონო საუბრით ირკვევა, რომ ყურადღების გადატანის მიზნით, ეს ყველაფერი „გამხდარის“ მიერ, „აქუს“ ეთერში საგანგებოდ ატეხილი სკანდალია: **„მე დათოს დავურეკე რა, დათო ახლა, აი, ახლავე უნდა ადგეს და მიაჭრას პრემიერთან რა, უნდა გააიასნოს“...**

ვინ არის „გამხდარი“ და კონკრეტულად, რას გულისხმობდნენ თანამდებობის პირები? ეს ყველაფერი ერთი დღით ადრე, 27 აპრილს, საღამოს 20:47 საათზე განხორციელებული ზარით იხსნება, სადაც ასევე მაღალი თანამდებობის პირები საუბრობენ. ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება, რომ სასწრაფოდ გადაახვინოს ტელეკომპანია „კავკასია“ და 20:35 საათზე გაასწოროს: **„პროსტა ნახავ, რა, პირდაპირ გაშიფრულია ყველაფერი... ჰოდა, ივანიშვილიო, ერთ-ერთი მინისტრით ძაან უკმაყოფილოაო, მერე შესაძლებელია გადაყენებაზეც იყოს ლაპარაკიო. უმცირესობამ თქვა, რომ ეს შესაძლებელია ერთი კი არა, ბევრი იყოსო, მერე უმრავლესობის წევრებს კითხეს — თქვენი აზრით, ვინ არისო? ყველამ თქვა, არ ვიციითო, ესო, მარტო ბიძინამ იცისო, მერე ხუხაშვილი იყო გამოსული, ხუხაშვილმა თქვა, რომ შესაძლებელიაო და ნუ, „ნამიოკი“ იყო სოფლის მეურნეობაზე. მერე ტრაქტორების კადრები აჩვენეს და კომენტატორმა თქვა, ჩვენი ვარაუდით, სოფლის მეურნეობის მინისტრზე იქნება საუბარიო“.**

„ვერსიისთვის“ ცნობილია, რომ სისხლის სამართლის საქმეში დევს ორი ექსპერტის — შაფაქიძისა და ბედიას სატელეფონო საუბარიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გამოძიების მოწმე, ექსპერტი შაფაქიძე სატელეფონო საუბრისას არ გამორიცხავს, რომ „ზეტორის“ ტრაქტორების მონაცემების შეფასებისას შეცდა!

გამოძიებამ ექსპერტები შეცდომაში შეიყვანა?

დაშიფრულ სატელეფონო საუბრებზე, „ვერსიამ“ კომენტარისთვის ადვოკატს, კახა ხვისტანს მიმართა. მისი განმარტებით, ექსპერტებმა უკვე ზუსტად იციან, რომ გამოძიებამ ტრაქტორების ტექნიკურ მონაცემებთან დაკავშირებით, მათ მცდარი ინფორმაცია მიაწოდა: **„ამგვარი ქმედება წინასწარვე იძლეოდა ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომლითაც „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორების უპირატესობა დამტკიცდებოდა. რა თქმა უნდა, ექსპერტებმა — შაფაქიძემ და ბედიამ არ იცოდნენ, რომ გამოძიებამ მცდარი ინფორმაცია მიაწოდა, მაგრამ როდესაც საქმეში სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროც ჩართო, ისინი უკვე ბჭობენ, რომ ახალი მასალების მიხედვით, დასკვნა ყირაზე დგება და არ ემთხვევა იმ ტექნიკურ მონაცემებს, რაც ექსპერტებს გამოძიებამ მიაწოდა. გივი ქაიხოსროშვილს ბრალად ედება ის ფაქტი, რომ მასალები, რომლებიც გამოძიებას თავდაყირა აყენებს, ექსპერტებთან მიიტანა. არადა, გივი ქაიხოსროშვილი „ზეტორის“ წარმომადგენელია ამიერკავკასიაში, შესაბამისად, მისი უშუალო მოვალეობა იყო დაემტკიცებინა, რომ „ზეტორის“ ტრაქტორები სტანდარტებს შეესაბამება. თუკი ქაიხოსროშვილმა იცოდა, რომ გამოძიებამ ექსპერტებს ყალბი მონაცემები მიაწოდა, იყო თუ არა ვალდებული, ექსპერტებისთვის ეცნობებინა? გავყვეთ ლოგიკას, გივი ქაიხოსროშვილს მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია ედება ბრალად, მაგრამ ვინ გააყალბა მტკიცებულება — მან, ვინც ექსპერტებს მცდარი ინფორმაცია მიაწოდა, თუ ქაიხოსროშვილმა, რომელმაც საკუთარი კომპანიის ღირსება დაიცვა?“**

ვერსიანიუსი

გერმანელი ექსპერტები საქართველოს ხელისუფლებას „შერჩევით სამართალში“ არ აღანაშაულებენ

გერმანელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოში „ტიმოშენკოს სცენარის“ განვითარებაზე საუბარი ნაადრევია, — ამის შესახებ სტატიას გერმანული Deutsche Welle აქვეყნებს. ტელეკომპანიის მიერ გამოკითხულ გერმანელ ექსპერტთა აზრით, ამ ეტაპზე, ისინი საქართველოს ხელისუფლების შერჩევით სამართალში დადანაშაულების საფუძველს ვერ ხედავენ.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილისა და ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების საქმეში, ბერლინის ფონდის — „მეცნიერება და პოლიტიკა“ ექსპერტი უვე ჰალბახი ნაადრევი დასკვნების გამოტანისგან ყველას თავშეკავებისკენ მოუწოდებს. **„საჭიროა დავიცადოთ, როგორ წარიმართება პროცესები, გაჩნდება თუ არა ეჭვი მეტოქეების პოლიტიკური რევანშის თაობაზე“.** მისივე აზრით, ამ ეტაპზე ნაადრევია საქართველოს ექსპრემიერისა და უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს შედარება. გერმანელი ექსპერტის თქმით, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას ქართველთა უმრავლესობა მხარს უჭერს.

უვე ჰალბახის ამ მოსაზრებას იზიარებს „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ სამხრეთ კავკასიის ბიუროს კოორდინატორი იულია ბლეზიუსიც: **„ჩვეულებრივ ადამიანებთანაც და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთანაც საუბრის შემდეგ, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი მიესალმებიან ხელისუფლების ყოფილი წევრების პასუხისგებაში მიცემას“.**

გერმანელი ექსპერტები ასევე თანხმდებიან, რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარების საშიშროებაზე აღელვება ნაადრევია. იულია ბლეზიუსის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე ახალი საკანონმდებლო ინიციატივა შეიმუშავა, რომელიც „დემოკრატიას ამყარებს“ — **„ასე რომ, უნდა დაველოდოთ, როგორ წარიმართება სასამართლო პროცესები“.**

უვე ჰალბახი, რომელიც თავის მხრივ, აკრიტიკებს ქართული სასამართლოს ხელისუფლებაზე დამოკიდებულებას, აღნიშნავს, რომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მინისტრია: **„მან პირობა დადო, რომ მართლმსაჯულების დეპოლიტიზირებას მოახდენს. უნდა დავიცადოთ და ვნახოთ, შესრულდება თუ არა მისი დანაპირები“.**

„ინტერპრესნიუსი“

„თუ საზოგადოებაში ასეთი აზრი გაჩნდა, პარტიას გარკვეული პრობლემები მართლაც აქვს“

ირუსუდან შელია
557-100-768

26 მაისს პრემიერ-მინისტრმა ბაზალეთის ტურისტულ კომპლექსში საზეიმო მიღება მოაწყო, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულები. რა ხდებოდა პრემიერის საზეიმო მიღებაზე და რატომ არ აქტიურობენ უმაღლეს საპარლამენტო ორგანოში პარტია თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი დეპუტატები? — „ვერსიას“ „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი ესაუბრა.

აღასანიას პარტიის დიდერი „ვერსიას“ პრემიერის საზეიმო მიღების დეტალებს უმხელს

— ბაზალეთის ტურისტულ კომპლექსში 26 მაისის დამოუკიდებლობის დღესასწაული აღვნიშნეთ, სადაც პოლიტიკოსების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა, სხვადასხვა სფეროს ცნობილი წარმომადგენლები, ფილოსოფოსები, ხელოვანები, სპორტსმენები და საზოგადო მოღვაწეები მონაწილეობდნენ. მას შემდეგ, რაც ქვეყნის 26 ქალაქში საზეიმო ღონისძიებები დასრულდა, ბაზალეთის კომპლექსში შეკრებილებს პრემიერმა სიტყვით მიმართა, რის შემდეგაც ქვეყნის ეროვნული ჰიმნიც შესრულდა. ერთი სიტყვით, კოხტა საზეიმო მიღება იყო, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა და საკმაოდ ლამაზი ფოიერვერკით დასრულდა.

— მსგავსი მიღება პრემიერთან ტრადიციული იქნება?

— კარგი იქნება, პრემიერთან საზეიმო მიღება ტრადიციად თუ ჩამოყალიბდება, მაგრამ კონკრეტულად, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბაზალეთის კომპლექსში არავის უსაუბრია. თანაც, ტრადიციებზე რომ ვისაუბროთ, ამ მიმართულებით რამდენიმეწლიანი გამოცდილება მაინც უნდა გვქონდეს. ვფიქრობ, მოცემულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ქვეყნის მთავარსარდალი ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილია, დამოუკიდებლობის აღსანიშნად საკმაოდ სწორი ფორმა შეირჩა.

— „თავისუფალი დემოკრატები“ საპარლამენტო ცხოვრებაში ნაკლებად ჩანხართ. არადა, თქვენი პარტიის წევრები რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვან კომიტეტს ხელმძღვანელობენ. რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკურ ჩრდილში გადასვლა?

— თუ საზოგადოებაში მსგავსი აზრი გაჩნდა, ეს ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით პარტიას გარკვეული პრობლემები მართლაც აქვს, თუმცა გუნდის შიგნით საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ. თუნდაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რუტინულ სამუშაოებს ვახორციელებთ, რაც, როგორც წესი, საზოგადოებისთვის ნაკლებად თვალშისაცემია. პირადად მე, ამ ეტაპზე, ნასამართლეობის მოხსნის ვადებთან დაკავშირებით, ინიციატივას ვამზადებ, ვცდილობ, მუდმივად საზოგადოებრივი პრობლემის ეპიცენტრში ვიყო და მათ გადასაჭრელად მაქსიმალურად სწრაფი ზომები მივიღო. სამწუხაროდ, საკანონმდებლო კანონპროექტების განხილვა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, თუმცა მთავარია, ადრე თუ გვიან, ჩვენი მოქალაქეები შედეგს მიიღებენ. სხვათა შორის, სასესიო კვირის დასრულების შემდეგ „თავისუფალი დემოკრატები“ საზოგადოებისთვის ანგარიშის წარდგენასაც ვგეგმავთ, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაშიც ჩვენი პარტიის წარმომადგენლები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ. ირაკლი ალასანია, რომელსაც ქვეყნის საკვანძო უწყება აქვს ჩაბარებული, მთავრობაშიც საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა.

— თუმცა ისიც ფაქტია, რომ ირაკლი ალასანიამ, რომელსაც საპრეზიდენტო ამბიციები ღიად ჰქონდა გაცხადებული, პრემიერთან დაპირისპირებას დუმილი არჩია და ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას გიორგი მარგველაშვილის კანდიდატობასთან დაკავშირებით, დაეთანხმა. ეს ნიშნავს, რომ ალასანია პრემიერისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა?

— დიახ, ირაკლი ალასანიას მართლაც ჰქონდა პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭისყრის სურვილი და ეს ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მან პრემიერის გადაწყვეტილება მორჩილად მიიღო, პირიქით, გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით კოალიცია აბსოლუტურად ერთსულოვანი აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ იმ ფუნქციას, რაც მომავალ პრეზიდენტს ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ექნება, გიორგი მარგველაშვილი ნორმალურად შეასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკური ისტორია მხოლოდ ოთხ წელიწადს ითვლის, საზოგადოებაში ჩვენი ნიშა დიდი ხანია დავიმკვიდრეთ და ლიბერალური სახელმწიფოს მშენებლობისა თუ ადამიანის უფლებების დაცვისთვის ვიბრძვით — ესაა მთავარი პრინციპი. მიმაჩნია, რომ დღეს აბსოლუტურად სწორ გზაზე ვდგავართ.

— ქვეყანაში ადამიანის უფლებებისთვის ვიბრძვითო, ამბობთ, ირაკლი ალასანია კი აღიარებს, რომ ამ მხრივ, პრობლემებია და თუნდაც საეკლესიო პირების ქმედებები ზღვარს სცილდება.

— დიახ, არ ვმალავ, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს, თუმცა თეოკრატიაზე საუბარი აბსოლუტურად ზედმეტია. მმართველი გუნდი ვალდებულია, ნებისმიერი ინდივიდის უფლებები სრულად დაიცვას, თუმცა ისიც დაუშვებელია, ვინმეს აზრის შეცვლა ძალადობრივად მოვთხოვოთ. ალბათ, დრო სჭირდება და ქვეყანაში მსგავსი პროცესები თავისთავად დარეგულირდება. ბუნებრივია, 17 მაისის ინციდენტი დასაგმობია, თუმცა არა მგონია, საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, ამან ხელი შეგვიშალოს.

— არადა, ევროპის სახალხო პარტია ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისკენ მოგიწოდებთ. დასავლეთის ზეწოლაზე საუბარი კვლავ აქტუალურია?

— სამწუხაროა, რომ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირები დღეს სასამართლო პროცესზე თავს იმართლებენ. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება — ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ირაკლი ალასანია თუ „თავისუფალი დემოკრატების“ რომელიმე სხვა წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, ქვეყნის იმიჯისთვისაც ცუდია, როცა უმაღლესი თანამდებობის პირი მძიმე დანაშაულშია მხილებული. ყველა მაღალჩინოსანს უნდა ესმოდეს, რომ ხალხის მიერ დაქირავებული ჩვეულებრივი მენეჯერია, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს და ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნავდეს.

— როცა ამბობთ, მაღალი თანამდებობის პირების გასამართლება ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახებაო, ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობის პოზიციას იზიარებთ. თქვენც ფიქრობთ, რომ პოლიტიკური თანამდებობა იმუნიტეტია?

— ასე ნამდვილად არ ვფიქრობ, პირიქით, მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და საკუთარ თავზეც გამოვცადე ნაცმოძრაობის დანაშაულებრივი მანქანის სისასტიკე. კარგად ვიცი, რომ წლების განმავლობაში ნაცმოძრაობა ქვეყანას ავტოკრატულ რეჟიმში მართავდა. არ ვიცი, რა განაჩენს გამოიტანს ვანო მერაბიშვილისა და ზურა ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ მოსამართლე, თუმცა ჩადენილი დანაშაულისთვის მათ პასუხი აუცილებლად მოეთხოვებათ. მაღალი თანამდებობა არ ნიშნავს, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეზე პრივილეგირებული ხარ. რაც შეეხება ევროპის სახალხო პარტიის განცხადებას, ბუნებრივია, ისინი ნაცმოძრაობასთან სოლიდარულები იქნებიან, რადგან ყოფილ მმართველ გუნდს ამ პარტიასთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რა რეკომენდაციას გამოგვიგზავნის ევროპის სახალხო პარტია, არ ნიშნავს, რომ სრულიად დასავლეთი მათ პოზიციას იზიარებს. კანონის წინაშე ყველა ერთია და ხელშეუხებელიც დღეს არავინაა — არც უგულავა, არც სააკაშვილი და არც ვინმე, თუნდაც მოქმედი სახელმწიფო მოხელე.

— საკმაოდ საინტერესო ჩამონათვალია, თანაც ვრცელდება ინფორმაცია, რომ ყოფილი პრემიერისა და ყოფილი მინისტრის შემდეგ გიგი უგულავას დააკავებენ.

— ამის შესახებ ინფორმაცია ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ გარწმუნებთ — ქვეყანაში სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს. დღეს ნაცმოძრაობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ლიდერად ისევ მიხეილ სააკაშვილი ჰყავთ, ეს ფაქტორი ნაციონალებს საკმაოდ მძიმე პასუხისმგებლობად აწევთ და სავარაუდოდ, მისგან გათავისუფლებას მალე შეეცდებიან.

როგორ შეაჩერებს ხელისუფლება „მცოცავ ოკუპაციას“

რუსებმა დიცსა და დვანთან ე.წ. საზღვარი გადმოწიეს!

რუსმა სამხედროებმა ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფლებთან — დიცსა და დვანთან მავთულხლართები გააბეს და ე.წ. პირობითი საზღვარი რამდენიმე ასეული მეტრით გადმოწიეს. ერედვის მიმართულებით ოკუპანტებს მავთულხლართები აქამდეც ჰქონდათ გავლებული, თუმცა ამჯერად, პერიმეტრს რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით აშენებენ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთს მოუწოდებს, ეს უკანონო პროცესი შეწყვიტოს. ფანჯიკიძის უწყება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს უცხოელ პარტნიორებს მიაწოდებს, რათა მათ სათანადო რეაგირება მოახდინონ. საკითხს, 31 მაისს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის შეხვედრაზეც დააყენებენ. ივნისის ბოლოს კი, პრობლემასთან დაკავშირებით, საუბარი იქნება ჟენევის დისკუსიების ფორმატის ფარგლებშიც. მომხდარი დაგმეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოშიც. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ მომხდარის გამო სრული პასუხისმგებლობა ოკუპანტ სახელმწიფოს — რუსეთის ფედერაციას დააკისრა. მავთულხლართების გავლების პროცესს უკვე აკვირდება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. ვითარების ადგილზე შესწავლის მიზნით, დიცში ნაციონალებიც ჩავიდნენ, თუმცა სოფელში გივი თარგამაძისა და გიგი წერეთლის გამოჩენას ინციდენტი მოჰყვა — ადგილობრივებმა მათ უსაყვედურეს, აქამდე არ გაგხსენებივართ და ახლა რა უფლებით მოდიხართო. რამდენად მოახერხებს ქართული მხარე სასაზღვრო სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას და ამ ფაქტის შემდეგ, რა რეჟიმში გაგრძელდება რუსეთთან მოლაპარაკების პროცესი? „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი ესაუბრა.

— პოლიტიკურად მძიმე მდგომარეობაში ვართ — ტერიტორიები ოკუპირებულია. პრობლემების არსებობას ვაღიარებთ და რთული მდგომარეობიდან გამოსავლის გზებზეც ხმამაღლა ვსაუბრობთ, მთავარია, ჩვენი ინტერესების გატარებაც მოვახერხოთ. მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ. ახლა მხოლოდ ორი გამოსავალი არსებობს: ხელში იარაღი ავიღოთ და რუსეთთან სამხედრო შეტევა დავიწყოთ, რაც აბსოლუტურად უშედეგო იქნება, ან მოლაპარაკების რეჟიმის გაგრძელებით, ჩიხური ვითარებიდან ეტაპობრივად გამოვიდეთ.

— ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის მიუხედავად, რუსეთი კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში პოზიციას არ ცვლის. ხელისუფლებას არასწორი სტრატეგია ხომ არ აქვს?

— ვფიქრობ, ხელისუფლების მიერ არჩეული გზა სწორია. აგვისტოს ომის შემდეგ, ხელჩასაჭიდი ბერკეტი აღარ გვაქვს, კონფლიქტის მოსაგვარებლად მცირე შანსები კვლავ რომ გაჩნდეს, დიახ, რუსეთთან ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობები უნდა აღვადგინოთ. ცუდი ფაქტია, რომ პირობითი საზღვარი გაიზარდა, მაგრამ ამას სხვა კუთხით უნდა შევხედოთ: როცა ადრე თუ გვიან, საქმე პოლიტიკურ მოლაპარაკებამდე მივა, რუსეთი ცდილობს, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს და ამისთვის ნიადაგს დღეს იმზადებს. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პოზიციები უნდა გავაძლიეროთ და პარტნიორებს დავანახოთ, რომ ფაციფუცა ხელისუფლება არ ვართ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საზღვრები გადმოწია, მოლაპარაკების პროცესს არ შევაჩერებთ! პირიქით, გვაქვს გეგმა, ყველაფერი საზოგადოებრივი ურთიერთობების აღდგენით დავიწყოთ და ხელახლა გავიყვანოთ გზა, რომელიც საბოლოოდ, აფხაზებამდე და ოსებამდე მიგვიყვანს.

— 31 მაისს ოსურ მხარესთან ტრადიციულ შეხვედრაზე თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა რეალურია?

— განსაკუთრებულ შედეგს არც 31 მაისის შეხვედრისგან ველი, მაგრამ სავარაუდოდ, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაზე შევთანხმდებით. ჩიხიდან გამოსვლის პროცესს ხელს უშლის სააკაშვილი. ის, რაც მან თუნდაც ვანუატუსთან დაკავშირებით გააკეთა, ვითარებას უფრო დაამძიმებს. ვანუატუს ქებამ, რუსეთის სასტიკი ლანძღვის ფონზე, რუსეთი წაახალისა სასწრაფოდ მიეღო ზომები. არ გამოვრიცხოთ, რომ მავთულხლართების გაბმაც სააკაშვილის განცხადებების პასუხი იყოს. თანაც, იქ სხვა პროცესებიც მიმდინარეობს — ცხინვალის რეგიონში, დაახლოებით, 20 ათასი ადგილობრივი მოსახლე ცხოვრობს, რომლებსაც ქართველებთან საკმაოდ ახლო ნათესაური კავშირი აქვთ, რუსული მხარე კი ქართულ მხარესთან ყველანაირი ურთიერთობის ჩაჭრას ცდილობს.

ირუსუდან შელია

„დემოკრატიული რეფორმების მტკივნეული გზა“

ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოში და დემოკრატიული რეფორმების მტკივნეული გზა, — ასეთი სათაურით აქვეყნებს გამოცემა euobserver საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის სტატიას. წერილის თარგმანს მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

„17 მაისს მსოფლიო ადევნებდა თვალ-ყურს თბილისში განვითარებულ მოვლენებს. ლგბტ აქტივისტების მცირერიცხოვან თავყრილობას 20 000-კაციანი საპროტესტო მსვლელობა დაუხვდა, რის გამოც სამართალდამცავები იძულებულნი გახდნენ, გაერიდებინათ ისინი დაპირისპირების ადგილიდან. ამ ძალადობრივმა დაპირისპირებამ ისიც დაგვანახა, რომ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ცვლილებები. საქართველოს ხელისუფლება არ უღალატებს თავის დაპირებას და უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, შეძრწუნებული ვარ 17 მაისს მომხდარი მოვლენების გამო. ეს იყო უხამსობა, რომელიც არ შეშვენის შემწყნარებლობის ეროვნულ და ქრისტიანულ ტრადიციებს საქართველოში. დემონსტრაციების ზოგიერთი მონაწილის მიერ ჩადენილ ძალადობას ვერაფერი გაამართლებს. უკვე დაკავებულია რამდენიმე პირი. მიმდინარეობს გამოძიება. იყო სასულიერო პირი, არ არის ალიბი, დაისჯება ყველა, ვინც ჩაიდინა დანაშაული, დაარღვია კანონი, მოუწოდა ძალადობისკენ ან მიიღო მასში მონაწილეობა.

მადლობას მოვახსენებ ჩვენს ევროპელ მეგობრებს ამ საქმეში მხარდაჭერისთვის, მათ შორის — თომას ჰამარბერგს (ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველს), რომელიც იმყოფება საქართველოში ადამიანის უფლებების სფეროში ვითარების შესაფასებლად და რეკომენდაციებს უწევს ხელისუფლებას მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რომ განვახორციელოთ აუცილებელი რეფორმები ევროკავშირისა და საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად.

ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის წინ, ჩემთვის ცნობილი გახდა — გარკვეულმა წრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს იმას, რომ მე ერთმნიშვნელოვნად მხარს ვუჭერდი ყველა უმცირესობის თანასწორუფლებიანობას, თუმცა ისიც განვაცხადე, რომ საზოგადოება ნელ-ნელა შეეჩვევა ამ ახალ რეალობას, რომელიც ყველას თანასწორობას გულისხმობს. ეს არ არის ქვეყნისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი, ეს ქვეყანაში ათეულობით წლების პოლიტიკური რეპრესიების შედეგი და იმის ნიშანია, რომ ქვეყანაში მტკივნეულად მიდის დემოკრატიული რეფორმები.

ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თანასწორობის დაცვა და დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა. ხელისუფლება კვლავ გაუწევს სრულ მხარდაჭერას საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც მზადდება და რომლის მიზანიცაა დისკრიმინაციასთან გამკლავება. კანონის მიღების შემთხვევაში კი, ძალისხმევას არ დავიშურებთ მისი მყისიერი და ეფექტიანი განხორციელებისთვის.

გასულ კვირას გამართული დემონსტრაციები ადასტურებს ახალგაზრდა დემოკრატიის არსებობას საქართველოში – ქვეყანაში, რომელიც გასული წლის ოქტომბრის შემდეგ იმართება არა როგორც პოლიციური სახელმწიფო, არამედ როგორც სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვისა და შეკრების უფლებათა დაცვას. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა დაადასტურეს, რომ არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ ყოფილა სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიციური აზრის გამოხატვა ისე ხელშეწყობილი, როგორც ჩვენი ხელისუფლების პირობებში.

პოლიციის როლი გადამწყვეტია საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვის საკითხში. საქართველოს შეუძლია, იამაყოს თავისი პოლიციელების გამბედაობით, პროფესიონალიზმითა და იმ ჯანსაღი დამოკიდებულებით, რომელიც მათ გამოამჟღავნეს 17 მაისს უკიდურესად დაძაბულ და მათ მიმართ აშკარად მტრულ ვითარებაში. დემოკრატია საქართველოში დღეს აღარ არის ფასადური. მჯერა, შეგვიძლია, გვქონდეს ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და მრჩევლების მხარდაჭერის იმედი ცვლილებების განხორციელების საქმეში. ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს მოქალაქეები ყოველთვის ევროპული ღირებულებებისა და ევროინტეგრაციის ერთგულნი იქნებიან“.

„ინტერპრესნიუსი“

„რომანოვების სასახლეში ივანიშვილის ინტერესს გამოვრიცხავ და ოფიციალურ განმარტებას ველოდები!“

რას ედავება ეკონომიკის სამინისტროს ბორჯომის მაჟორიტარი გედევან ფოფხაძე და რას პასუხობენ მას კვირიკაშვილის უწყებიდან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ყოფილი პოლიტპატიმარი, ივანიშვილის ბაკურიანის რეზიდენციის დაცვის ექსუფროსი, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციის ახლანდელი უფროსი რევაზ მუმლაძე რომანოვების ლიკანის სასახლის სკანდალში გამოჩნდა. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მას რეზიდენციის მითვისება სურს. ამის შესახებ პრესას არასრული ინფორმაცია საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გივი თარგამაძემ მიაწოდა, ისტორიულ შენობაში დაწყებულ გაურკვეველ მოქმედებებზეც ისაუბრა და ისიც თქვა, რომანოვების სასახლე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი „პრეზიდენტის დაჩას“ უწოდებდა, დღეს მის საკუთრებაშიაო. „ვერსიამ“ ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის გედევან ფოფხაძისგან განსხვავებული ინფორმაცია მოიპოვა, რომლის შესახებ საჯაროდ მხოლოდ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გახდება ცნობილი — ამას გედევან ფოფხაძე 29 მაისს თავად გააჟღერებს!

რაც შეეხება რევაზ მუმლაძეს, იგი ბორჯომში არჩევნებამდე, შემოსავლების საგამოძიებო სამსახურის სამცხე-ჯავახეთის სამმართველომ დააკავა, ბრალი კოდექსის 186-ე და 201-ე მუხლებით (მიწის ნაკვეთის უკანონოდ შესყიდვა) წაუყენეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ბრალი არ აღიარა, ივანიშვილის ადვოკატთა ჯგუფმა კი, შალვა თადუმაძის ხელმძღვანელობით, იგი პოლიტიკურ პატიმრად შერაცხა. ითქვა, რომ მუმლაძე რეჟიმის პატიმარი იყო, რაკი იგი ივანიშვილის ბაკურიანის რეზიდენციის დაცვის უფროსად მუშაობდა. ნაკვეთის გამყიდველმა აღიარა, რომ ნასყიდობის დოკუმენტები გაყალბდა, თუმცა არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც ჩანდა, რომ დოკუმენტები გამყიდველმა გააყალბა, მუმლაძემ კი ეს არ იცოდა. მუმლაძემ ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ციხე პოლიტიკური პატიმრის სტატუსით დატოვა და მალე, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციის უფროსად მოგვევლინა. დღეს რევაზ მუმლაძის გარშემო ახალი ხმები თავად ბორჯომის მოქალაქეების მიერ ვრცელდება — არსებობს მუმლაძისა და მისი მეუღლის ფოტოები ლიკანის სასახლის ტერიტორიაზე. ირკვევა ისიც, რომ სასახლის შენობიდან ძველი თანამშრომლები ეკონომიკის სამინისტრომ გამოუშვა, იმის მიუხედავად, გასული წლის დეკემბრიდან მოყოლებული, ხალხი უხელფასოდ მაინც მუშაობდა და ისტორიული შენობა არ მიუტოვებია. „ვერსიას“ სწორედ ეს ადამიანები უამბობდნენ, რომ უკვე დღეს, ეკონომიკის სამინისტროს, პრემიერ ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირების მიუხედავად, შენობის გასხვისება სურს და ინვენტარიზაციას სწორედ ამ მიზნით ატარებს. არადა, წინასაარჩევნო პროგრამაში, ერთ-ერთ გამორჩეულ პუნქტად ივანიშვილისა და ბორჯომის მაჟორიტარის, გედევან ფოფხაძის დაპირება სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა: **„ლიკანის სახელმწიფო რეზიდენცია გადაკეთდება პარკად, რომანოვების სასახლე — მუზეუმად და ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, დაათვალიეროს ბორჯომის ეს ღირსშესანიშნაობა“.**

პარკისა და სასახლის რეალური მდგომარეობა კი დღეს მეტად სავალალოა — როგორც „ვერსიას“ გათავისუფლებული თანამშრომლები უამბობენ, მას მერე, რაც ლიკანის სასახლე სააკაშვილის რეზიდენციას აღარ წარმოადგენს, შენობას აღარანაირი სტატუსი არ გააჩნია.

ვესაუბრეთ ბორჯომის მაჟორიტარს **გედევან ფოფხაძეს,** რომელიც თავადაც ამბობს, რომ უკანონო გასხვისების შესახებ ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია: **„რაც სააკაშვილმა ამ სასახლეზე უარი თქვა, გადაწყდა, ეს ტერიტორია გამოცხადებულიყო პარკად, რომანოვების სასახლე კი — მუზეუმად. ასეთი იყო ეპარქიის სურვილიც! მას მერე დიდხანს ველოდით, მოლაპარაკებასაც ვაწარმოებდით ეკონომიკის სამინისტროსთან... პარკში საკმაო ხანს არ გვიშვებდნენ. მერე, უბრალოდ, ნება დაგვრთეს, ტერიტორიაზე შევსულიყავით, ამის შემდეგ არ გვიაქტიურია, რადგან ამ დაპირების შესრულება „ოცნების“ ისედაც დეკლარირებული პოზიცია იყო. დღეს კი ფაქტია, თანამშრომლები, ვინც იქ მუშაობდა, დაითხოვეს და, როგორც ჩანს, ეს ეკონომიკის სამინისტრომ გააკეთა. დღეს იქ რეზიდენცია აღარ არის, ამ შენობას ახლა არანაირი სტატუსი აღარ აქვს და ის ხარჯი, რასაც რეზიდენციის მომსახურება ითვალისწინებდა, აღარ არსებობს, ამიტომ ლოგიკურია, იქ ვიღაცას ინვენტარიზაცია ჩაეტარებინა და ალბათ, ამასაც ეკონომიკის სამინისტრო აკეთებს. კარგი იქნებოდა, საზოგადოებისთვის ამის შესახებ დროულად ეცნობებინა!“**

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ოცნების“ მაჟორიტარი ბორჯომში ღიად საუბრობს ივანიშვილის დაცვის უფროსის, რევაზ მუმლაძის შესახებ და აცხადებს, რომ მუმლაძის პოლიტპატიმრობის საკითხი პარლამენტში თავად დააყენა: **„რეზო მუმლაძის პოლიტპატიმრების სიაში შეყვანის საკითხი მე დავაყენე. წესით, რეზო მუმლაძეს ამ რეზიდენციასთან არანაირი შეხება არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჭორის დონეზე, ხმები მაინც ვრცელდება. გამოვრიცხავ, რომ აქ პირადად, ივანიშვილის ინტერესია! სხვა არაფრის მტკიცება შემიძლია! ველოდები, როდის გააჟღერებს სახელმწიფო თავის პოზიციას. ეს ტერიტორია არ უნდა გასხვისდეს, რადგან იგი მთელი ბორჯომის საკუთრებაა და არა კონკრეტული უწყებისა! არ მინდა, გაჩნდეს კითხვები და ვინმემ იჭორაოს, ეს შენობა ივანიშვილს თავისთვის უნდა ან საკუთარი დაცვის წევრს უნდა აჩუქოს. ყველაზე სწორი იქნებოდა, პროცესი ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან უფრო გამჭვირვალე გამხდარიყო. ახლა უნდა გავარკვიოთ, ინვენტარიზაციას იმისთვის ატარებენ, რომ შენობა გაყიდონ, თუ იმისთვის, მუზეუმად გამოცხადდეს! ბორჯომში დადის ჭორი, რომ სასახლეს გასხვისებას უპირებენ. ამაზე საუბრობენ თანამშრომლებიც. ყველამ იცის, რა გავლენიანი ორგანიზაცია იყო ბორჯომის მხედრიონი. მათ რაღაც პრეტენზიები გამოთქვეს ლიკანის სანატორიუმთან დაკავშირებით. შენობის დირექტორმა, პეტრე იოსელიანმა კი მხედრიონი ამ შენობაში არ შეუშვა და მის პირობებში, სანატორიუმი არ დაზარალებულა! სააკაშვილის პირობებში, ტერიტორია ორად გაიყო — ნაწილი ყაზახებზე გაიყიდა, ნაწილი სახელმწიფო რეზიდენციად დარჩა. ესეც ცუდი იყო. ახლა ეს მეორე ნაწილიც თუ გაიყიდება, ბორჯომი ძალიან დაზარალდება, მაგრამ გედი ფოფხაძე ვიქნები ადამიანი, ვინც საკუთარი დაპირების შესასრულებლად იბრძოლებს!“**

როგორც გედევან ფოფხაძე ამბობს, სასახლისთვის სააკაშვილის რეზიდენციის სტატუსის მოხსნის მიუხედავად, ამ ტერიტორიას კვლავ სამთავრობო დაცვა იცავს, მაგრამ შენობაში ძველი თანამშრომლები აღარ მუშაობენ. რა კავშირი აქვს რომანოვების სასახლის შენობასთან რევაზ მუმლაძეს, რა სტატუსი აქვს ახლა ამ ისტორიულ შენობას და მართლა უპირებს თუ არა გასხვისებას ლიკანის რეზიდენციას ეკონომიკის სამინისტრო? — ყველა ამ კითხვაზე „ვერსიამ“ სამინისტროს წარმომადგენლის, **თეა ბოლქვაძისგან** ოფიციალური პასუხი მიიღო: **„როგორ შეიძლება, სახელმწიფო უწყების მიერ მისი ქონების ინვენტარიზაციის სრულიად კანონიერი პროცესი კორუფციად ჩაითვალოს?! პირველი, რაც გადაჭრით უნდა გითხრათ — რომანოვების სასახლეს გასხვისება არ ემუქრება, ასეთი რამ, ჯერჯერობით, ეკონომიკის სამინისტროს გეგმაში არ აქვს! რაც შეეხება სტატუსს, რომანოვების სასახლე, ბაღიანად, სარგებლობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას. სახელმწიფომ შენობა, ანუ უძრავი ქონება გადმოსცა ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო მოძრავი ნივთები, რის გამოც ჩვენი თანამშრომლები რომანოვების სასახლეში ჩავიდნენ, უნდა აღირიცხოს. იქ სწორედ ამის ინვენტარიზაცია მიმდინარეობს — მოძრავი ქონება ეკონომიკის სამინისტრომ ქონების მართვის სააგენტოსგან უნდა ჩაიბაროს. უნდა აღვწეროთ ისტორიულად მნიშვნელოვანი ექსპონატები, რათა გავიგოთ, რა მდგომარეობაა სასახლეში. რაც შეეხება რევაზ მუმლაძის კავშირს ამ სასახლესთან, რაკი ვთქვით, რომ გასხვისება არ იგეგმება, ე.ი. გამორიცხულია მუმლაძისთვის ამ შენობის მიყიდვა, გადაცემა... ეს აბსურდია! ზუსტად ახლა იღებს ხელში ეკონომიკის სამინისტრო ამ შენობას, როგორც ქვეყნის სავიზიტო ბარათს, ამიტომ მასში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხს მხოლოდ ამის შემდეგ ვაგებთ. რაც შეეხება თანამშრომლების გაშვებას, ჩვენი ინფორმაციით, იქ კიდევ არიან ძველი თანამშრომლები, ვინც გათბობა-ვენტილაციაზე მუშაობს, ობიექტს კი დაცვის სპეციალური სამსახური იცავს!“**

„ვისოლმა“ გულშემატკივრებს „ტორპედო ქუთაისის“ განვითარების ახალი გეგმები გააცნო

გუნდში თბილისის „ლოკომოტივისა“ და გორის „დილას“ ფეხბურთელები, ასევე ესპანელი მწვრთნელები გადადიან!

მალე, „ტორპედო ქუთაისი“, რომ იტყვიან, ახალ სისხლს გადაისხამს — გუნდს დაახლოებით, 13 ახალგაზრდა ფეხბურთელი თბილისის „ლოკომოტივიდან“ შეუერთდება, რამდენიმე — გორის „დილიდან“, არაა გამორიცხული, რამდენიმე საზღვარგარეთ წასული ფეხბურთელიც დააბრუნონ საქართველოში. ევროთასების წინ, გუნდში ძირეული ცვლილებების გატარების ასეთი გაბედული გადაწყვეტილების მიზეზებისა და მიზნების შესახებ, 28 მაისს, საგანგებო პრესკონფერენციაზე, „ტორპედო ქუთაისის“ კლუბის პრეზიდენტმა, ლევან ფხაკაძემ ისაუბრა.

მისი თქმით, კლუბში ახალი სპორტსმენების მიღება ქუთაისის „ტორპედოს“ განვითარების სტრატეგიის ნაწილია და კლუბის მეტად გაძლიერებისთვისაა მიმართული.

„გუნდში შემატებულ“ ფეხბურთელებს, საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენენ, მანამდე კი, იმის შესახებ გვაუწყეს, რომ ფეხბურთელებთან ერთად, „ტორპედო ქუთაისში“ „თბილისის ლოკომოტივიდან“ ორი ესპანელი მწვრთნელი — ზარაგოზა მულეტი და ალბერტო ბეროიკალ კორეა გადავლენ და ფეხბურთელებთან ერთად, ახალი სტრატეგიებითა და გეგემებით ლეგენდარული კლუბის მეტად განვითარებაზე იზრუნებენ.

ლევან ფხაკაძის განმარტებით, „ტორპედო ქუთაისში“, გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად, ახალგაზრდა სპორტსმენების თამაში გუნდსაც გააძლიერებს და მომავალში, საქართველოს ძლიერი ნაკრების შექმნასაც შეუწყობს ხელს.

ლევან ფხაკაძე: „ტორპედო ქუთაისს“ აქვს წარმატების დიდი ისტორია, რომელშიც „ვისოლ ჯგუფი“ ახალ ფურცლებს წერს. წელს გუნდს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა — საქართველოს ჩემპიონატის მესამე ადგილი მოვიპოვეთ, თუმცა „ტორპედო ქუთაისს“ მეტი ამბიცია და მიზანი აქვს. გუნდის მეტად გაძლიერებისთვის მისი გაახალგაზრდავება გადავწყვიტეთ. კლუბის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22 წლამდე იქნება, რაც იდეალური ასაკია მნიშვნელოვანი მიღწევებისთვის. ამას გარდა, „ტორპედო ქუთაისს“ გააძლიერებენ 2012 წელს სლოვაკეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში (17 წლამდე ნაკრების) მონაწილე ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებმაც პირველად საქართველოს ისტორიაში, ნახევარფინალამდე მიიყვანეს ჩვენი გუნდი. ამჟამად ისინი თბილისის „ლოკომოტივისა“ და გორის „დილას“ მოთამაშეები არიან. დამატებით, გუნდის განვითარებაზე, ამიერიდან, მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები იზრუნებენ“.

„ტორპედო ქუთაისის“ კლუბის პრეზიდენტმა ისიც გვაუწყა, რომ მწვრთნელებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მათთვის იოლი არ იყო, მით უმეტეს, აქამდე გუნდის მწვრთნელი, გამოცდილი გია გეგუჩაძე გახლდათ. ლევან ფხაკაძემ გეგუჩაძეს მადლობა გადაუხადა „ქუთაისის ტორპედოს“ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. თავის მხრივ, ლევან და სოსო ფხაკაძეებს მადლობა გადაუხადა გია გეგუჩაძემაც იმისთვის, რომ მათ მისცეს საშუალება, ემუშავა ისეთ ძლიერ, ამბიციურ და ტრადიციულ გუნდში, როგორიც ქუთაისის „ტორპედოა“, თუმცა გია გეგუჩაძის მადლობის ადრესატი ზოგადად, ქუთაისელი გულშემატკივრები, „ტორპედოს“ ფანკლუბი და ყველა ის ადამიანი იყო, ვინც ამ გუნდის განვითარებაში წვლილი შეიტანა.

„ტორპედო ქუთაისზე“ მზრუნველობა „ვისოლმა“ 2010 წლიდან დაიწყო და გუნდის განვითარებისთვის ყოველწლიურად 4 მილიონი ლარის ინვესტიციას ახორციელებს. ამას გარდა, „ვისოლ ჯგუფმა“ ჯამურად, უკვე 30 მილიონ ლარზე მეტი გაიღო თბილისსა და რეგიონებში ევროპული სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და ზოგადად, ქართული სპორტის განვითარებისთვის. „ქუთაისის ტორპედოს“ მეტად განვითარებისთვის კი, „ვისოლი“ გეგმებს ყოველწლიურად სახავს. გუნდის „გაახალგაზრდავების“ გადაწყვეტილებაც ამ სტრატეგიის ნაწილია. **„სტრატეგია გრძელდება. გვინდა, ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს მივცეთ საშუალება, უმაღლეს ლიგაში ითამაშონ. ასე არ დაიკარგებიან და არც საზღვარგარეთ, რომელიმე გუნდის სათადარიგო სკამებზე აღმოჩნდებიან. ეს სპორტსმენები „ქუთაისის ტორპედოს“ ახალ ძალას, ენერგიას შემატებენ“,** — აცხადებს ლევან ფხაკაძე და იმედოვნებს, რომ ამ საკმაოდ გაბედული გადაწყვეტილების დამსახურებით, ქუთაისის „ტორპედო“ დიდ წარმატებებს მიაღწევს და საუკეთესო შედეგს აჩვენებს.

ნინო ლურსმანაშვილი

„ხელისუფლების კარის მწერლების დრო ქვეყანაში ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დასრულდა“

ეროსუდან შელია
557-100-768

„კულტურის სამინისტროში იმაზე მეტი დომხალი და კრიმინალია, ვიდრე სოფლის მეურნეობის სამინისტროში იყო“, — განაცხადა „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა და ისიც გაგვიმხილა, რომ კულტურის სამინისტროში ლიტერატურულ ჟურნალთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერი კანონდარღვევით ჩატარდა. ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, კულტურის სამინისტროდან დაგვიკავშირდნენ. კულტურის მინისტრის მრჩეველმა ლიტერატურულ საკითხებში, მწერალმა თეონა დოლენჯაშვილმა გურამ ოდიშარიას უწყების მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებსაც უპასუხა, ისიც აგვიხსნა, რატომ შეიცვალა ტენდერის პირობები კონკურსის გამოცხადებიდან ერთ კვირაში და რატომ დააფინანსა მწერალთა სახლმა ჟურნალი „არილი“ და „ახალი საუნჯე“.

კულტურის სამინისტრო პოეტ ვაჟა ოთარაშვილს უჩივის?

— ვაჟა ოთარაშვილი დეზინფორმატორია, რადგან ლიტერატურულ ჟურნალთან დაკავშირებით ტენდერი კულტურის სამინისტრომ კი არა, მწერალთა სახლმა ჩაატარა. კონკურსი 11 მარტს გამოცხადდა და მსურველებს განაცხადის შემოტანის საშუალება 10 აპრილამდე ჰქონდათ. ტენდერში მონაწილეობა დაახლოებით ათმა გამომცემელმა მიიღო, მათ შორის, იყო ვაჟა ოთარაშვილიც, რომელსაც მწერალთა კავშირის ბორდი და მინისტრთან არსებული დარგობრივი საკონსულტაციო საბჭო ერთმანეთში აერია. შესაბამისად, სიცრუეა, თითქოს ჟურნალ „ახალი საუნჯის“ რედაქტორები სამინისტროს ბორდის წევრები არიან. საერთოდ, წარმოუდგენელია იმის თქმა, რომ თურმე ბორდის წევრებს სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებში ნაწარმოებების დაბეჭდვის უფლება არ აქვთ. ვაჟა ოთარაშვილს შეუძლია, სადაც უნდა, იქ იჩივლოს, უბრალოდ, თავს სასაცილოდ აიგდებს.

— რა კრიტერიუმით გაიმარჯვა კონკურსში „ახალმა საუნჯემ“, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაფუძნდა, ტენდერის პირობებში კი მითითებული იყო, რომ გამარჯვებულ ჟურნალს მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონოდა?

— შოთა იათაშვილს, რომელიც „ახალი საუნჯის“ რედაქტორია, ჟურნალის რედაქტორობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს — იგი ხელმძღვანელობდა ისეთ ცნობილ ჟურნალებს, როგორიცაა „ალტერნატივა“, „აფრა“... ანუ ამ შემოქმედებითმა გუნდმა ახლა ჟურნალ „ახალ საუნჯეში“ მოიყარა თავი.

— ტენდერში შემოქმედებითი ჯგუფის გამოცდილებაზე არაფერი იყო ნათქვამი. მაინც არ მიპასუხეთ, რატომ შეცვალეთ კონკურსის პირობები ტენდერის გამოცხადების შემდეგ?

— რა თქმა უნდა, ჟურნალზე იყო საუბარი, მაგრამ „ახალი საუნჯის“ შემოქმედებითმა კოლექტივმა თანადამფინანსებელიც წარმოადგინა, თანაც ტენდერის ანა-ბანაა — აქცენტი ყველაზე მცირებიუჯეტიან პროექტზე კეთდება. „ახალმა საუნჯემ“ კი 40 ათას ლარამდე მოითხოვა. მოვითხოვეთ, მცირე დაფინანსების მიუხედავად, ჟურნალის ხარისხი არ დაკარგულიყო. ვაჟა ოთარაშვილმა კი ორი ტიპის ბიუჯეტი წარმოადგინა — ჯერ 88 ათასი ლარი მოითხოვა, მეორე პროექტის მიხედვით — 64 ათასი ლარი. თანადამფინანსებელი კი არ ჰყავს. როგორც მივხვდი, თუ მისი ჟურნალი 64 ათასი ლარით დაფინანსდებოდა, მაღალ ხარისხზე პასუხისმგებელი აღარ იქნებოდა. რაც შეეხება ტენდერის პირობების შეცვლას, კონკურსის პირობები 10 მარტს გამოცხადდა, დაახლოებით ერთ კვირაში პირობები შევცვალეთ და ამის შესახებ ვაჟა ოთარაშვილიც ინფორმირებული იყო. ამ ჟურნალებს სამთვიან ვადას ვაძლევთ.თუ ამ ხნის განმავლობაში კონკურსის კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილეს, ბორდის გადაწყვეტილება ავტომატურად გაბათილდება, ტენდერიც ხელახლა გამოცხადდება. პირობებში ერთწლიანი გამოცდილებაც იმიტომ შევცვალეთ, რომ მივხვდით — ამით ახალ ორგანიზაციას ან ჟურნალს ხელ-ფეხს ვუკრავდით და განვითარების შესაძლებლობას აღარ ვაძლევდით.

— პირობების შეცვლა კანონდარღვევა არ არის? ჟურნალ „არილთან“ დაკავშირებითაც ითქვა, რომ მას მხოლოდ მთარგმნელობითი პროფილი აქვს, რაც ტენდერის პირობებს ასევე ეწინააღმდეგებოდა.

— პირობების შეცვლას კონკურსისთვის ხელი არ შეუშლია. რაც შეეხება ჟურნალ „არილს“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი სოზარ სუბარი იყო, ჩანს, ვაჟა ოთარაშვილს ის არც კი გადაუფურცლავს... ესაა ლიტერატურული ჟურნალი, რომელსაც შადიმან შამანაძე და მალხაზ ხარბედია ხელმძღვანელობენ და რომელსაც რამდენიმე საკმაოდ საინტერესო რუბრიკა აქვს. სხვათა შორის, ია ანთაძემ პოლიტიკური წერილების ბეჭდვა სწორედ ჟურნალ „არილში“ დაიწყო. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, „არილსაც“ თანადამფინანსებელი ჰყავს. მიმაჩნია, რომ მისი აღდგენა ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა იქნება. ვინმემ არ იფიქროს, ამ ჟურნალს, როგორც ჩინოვნიკი ვგულშემატკივრობ. ეს ჩემი, როგორც მწერლის პოზიციაა. თანაც ჟურნალმა „არილმა“ ონლაინვერსიაც წარმოადგინა. ვაჟა ოთარაშვილის „ლიტერატურა და ხელოვნებას“ ვებ-გვერდიც არ აქვს.

— ვაჟა ოთარაშვილი ტენდერის შედეგებს სასამართლოში გაასაჩივრებს. თქვენ აპირებთ სამართლებრივ რეაგირებას?

— ვაჟა ოთარაშვილის განცხადებები შეურაცხმყოფელია. მან უაპელაციოდ განაცხადა, რომ კულტურის სამინისტროში კრიმინალური კორუფცია ყვავის. კულტურის სამინისტრო არ არის ვალდებული, ლიტერატურული ჟურნალი დააფინანსოს. ჩვენ უკვე დავსახეთ პრიორიტეტები, რაც ქართული თანამედროვე ნაწარმოებების თარგმნასა და საზღვარგარეთ მათ გატანას გულისხმობს, პარალელურად, ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალისთვის ვემზადებით. უბრალოდ, ამ ტენდერის გამოცხადებით, ჩავთვალეთ, რომ თანამედროვე ავტორებს საქართველოშიც ხელს შევუწყობდით, მით უმეტეს, სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების აღსადგენად შესაბამისი სახსრებიც არსებობს. აღნიშნულ ბრალდებებზე სამართლებრივ რეაგირებას აუცილებლად მოვახდენთ და შესაბამისი დოკუმენტაციაც გვაქვს. თუ ჩატარდა ტენდერი, როგორ მიიღო ბორდმა გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგ სამინისტროს დარგობრივმა კომისიამაც განიხილა. ვაჟა ოთარაშვილის განცხადების საფუძველზე, სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ მიზეზი, რომ კულტურის სამინისტროში შემოვიდნენ და გამოძიება დაიწყონ, ამიტომ მიმაჩნია, რომ ოთარაშვილის ბრალდებებზე რეაგირება აუცილებლად უნდა მოვახდინოთ. ხელისუფლების კარის მწერლების დრო ქვეყანაში ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დასრულდა და პირადად მე, პირობას გაძლევთ, თუ კულტურის სამინისტროში ლიტერატურის მიმართულებით მსგავს ფაქტებს შევამჩნევ, გურამ ოდიშარიასთან აღარ ვიმუშავებ.

— ტენდერის შედეგებს რატომ არ ასაჯაროებთ?

— მასალები საჯარო მხოლოდ იმ მიზეზით არ გახდა, რომ ჟურნალ „არილის“ რეკომენდაციისთვის მინისტრს ხელი ჯერ არ მოუწერია. როგორც კი ფორმალური მხარე მოგვარდება, ტენდერის შედეგები გასაჯაროვდება.

„გლდანი მოლი“ – საფრთხე მეტრო „ახმეტელთან“

შეაფერხებს თუ არა საგანგებო ვითარებაში მეტროდან ხალხის ევაკუირებას სავაჭრო ცენტრი, ვინ გასცა ობიექტის მშენებლობის ნებართვა და არღვევენ თუ არა უსაფრთხოების ნორმებს ყაზახი ინვესტორები

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

რამდენიმე დღის წინ, „ვერსიის“ ყურადღება „ახმეტელის მეტროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებულმა მშენებლობამ მიიპყრო. მიზეზი, რატომაც ამ თემით დავინტერესდით, ის გახლავთ, რომ ასაშენებელი ობიექტის საძირკვლის ჩასაყრელად უზარმაზარი ორმო ზედ მეტროსთანაა გათხრილი. არადა, მეტროპოლიტენი მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება კი არა, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტიცაა, რასაც „ვერსიას“ უსაფრთხოების ექსპერტი ბესიკ ალადაშვილიც უდასტურებს — „მეტრო ომიანობის დროს, მშვიდობიანი მოსახლეობის თავშესაფრად გამოიყენება. შესაბამისად, მისი გამოსასვლელი, გარკვეული პერიმეტრი, შენობა-ნაგებობებისგან თავისუფალი უნდა იყოს, რათა საჭიროების შემთხვევაში, სახანძრო და სასწრაფო დახმარების სამსახურებს მუშაობაში ხელი არ შეეშალოს. კომუნისტების დროს, მეტროს მხოლოდ მისასვლელებთან კი არა, მისი ხაზის ზემოთაც კი აკრძალული იყო მშენებლობა — თუ არ ვცდები, 100-200 მეტრის რადიუსზე არაფერი უნდა აშენებულიყო. არაა გამორიცხული, ქალაქის მერიამ მიიღო რაღაც დადგენილება, რის საფუძველზეც ხდება მეტროს ხაზზე უზარმაზარი მაღაზიების მშენებლობა. გასათვალისწინებელია, რომ თუ მეტროს შესასვლელი თავისუფალი არ იქნება, გადაუდებელი შემთხვევების დროს, გაძნელდება მისვლა, შეფერხდება ხალხის ევაკუაცია და ძალიან მძიმე შედეგი შეიძლება მივიღოთ“.

როგორია სტანდარტი დღეს? — როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, „კომუნისტური პრინციპები“ ამ მხრივაც წარსულს ჩაბარდა. 100-200-მეტრიანი ზოლის დაცვას დღეს მშენებელს არავინ სთხოვს. ქალაქის არქიტექტურის სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა არისი ბოჭორიძემ განგვიმარტა, მეტროსთან მშენებლობაზე სამსახური ნებართვას გასცემს იმ შემთხვევაში, თუ ამას არ ეწინააღმდეგება მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა. „ვერსია“ შეეცადა, ამ მშენებლობასთან დაკავშირებით, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელების პოზიციაც მოესმინა. ადმინისტრაციაში განგვიცხადეს, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემა მათი კომპეტენცია არაა, სამაგიეროდ, „მათი კომპეტენციაა“ მშენებლობაზე პრეტენზიის გამოთქმა. ამ შემთხვევაში, თბილისის არქიტექტურის სამსახურში უფრო მეტად დაფიქრდებოდნენ, უნდა გაეცათ თუ არა „გლდანი მოლის“ მშენებლობის ნებართვა. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას პრეტენზია არ გამოუთქვამს, უბრალოდ, მშენებლები გააფრთხილეს, მიწისქვეშგამავალ კომუნიკაციებს თუ დააზიანებთ, თქვენი ხარჯით გააკეთებთო. შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურმა ნებართვა უპრობლემოდ გასცა.

არადა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პრობლემები შეექმნა „ახმეტელის“ წინ მდებარე უზარმაზარ სავაჭრო ცენტრ „მარიამს“. მაშინ, ნაციონალურმა ხელისუფლებამ ობიექტის დანგრევაც გადაწყვიტა. მოგვიანებით, ქალაქის მერიამ გასაოცარი გადაწყვეტილება მიიღო — ნებართვა სუპერმარკეტის წინ, 6-სართულიანი მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის აშენებაზეც გასცა და შეიძლება ითქვას, ამან „მარიამიც“ გადაარჩინა დანგრევას.

ახალი, გრანდიოზული სავაჭრო ცენტრის მშენებლობამ გარკვეული პრობლემები მათაც შეუქმნა, ვინც მეტროთი მგზავრობს — „ახმეტელთან“ მისვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. იქაურობა გადათხრილია. გარემოვაჭრეთა ნაწილის თქმით, ამ ობიექტს „მარიამის“ მფლობელი თემურ გოცირიძე აშენებს. ნაწილი კი, ივანიშვილს წყევლის, „კარფურის“ ფილიალს ხსნის და მალე ვაჭრობის უფლებას აღარ მოგცემსო.

ნაზი ფაცურია, გარემოვაჭრე: „დევნილი ვარ, ნაქირავებში ვცხოვრობ... 40 ლარის საქონელი მაქვს, მაგრამ პატრული მაინცდამაინც მე მერჩის. სხვას არაფერს ეუბნება. როგორც ამბობენ, ამ სავაჭრო ცენტრში, რომელსაც „მარიამის“ მფლობელი თემურ გოცირიძე აშენებს, ყველაფერი გაიყიდება — ტანსაცმლით დაწყებული, ბოსტნეულით დამთავრებული“.

ნათელა ბეგლარიშვილი, გარემოვაჭრე: „ადგილი ისედაც არაა — ერთმანეთს ვასხედვართ თავზე და ამის წამოჭიმვა გვინდოდა?! გვეუბნებიან, დაგასაქმებთო, მაგრამ თუ ფული გადამახდევინეს, ეგ რა დასაქმება იქნება? — ჯერ არ აშენებულა და ხალხს ეუბნებიან, ფართები დაჯავშნეთო. იმასაც ამბობენ, გოცირიძე აშენებსო, ზოგი ამტკიცებს, „კარფური“ თუ რაღაც ჯანდაბა შენდებაო...“

„ვერსიამ“ ინფორმაცია დედაქალაქის მერიაში გადაამოწმა. უგულავას უწყებაში განგვიცხადეს, რომ მეტროსადგურ „ახმეტელთან“ მრავალფუნქციური ცენტრი შენდება, რომელსაც „გლდანი მოლი“ ერქმევა, მას კომპანია „დედაბოძი“ აშენებს, მშენებლობის ნებართვა კი 2012 წელს არჩილ ფავლენიშვილის სახელზე გაიცა. ფავლენიშვილი „დედაბოძის“ არქიტექტორია, მაგრამ „ვერსიის“ ინფორმაციით, ობიექტის მეპატრონე არ გახლავთ.

„ვერსიამ“ ისიც გაარკვია, რომ მიწა, რომელზეც „გლდანი მოლი“ შენდება, ეკუთვნის კომპანია „სალხინო 93“-ს, რომელიც პარალელურად, „მარიამის“ მეწილეცაა. „სალხინო 93“-ის დამფუძნებელი და მეწილე გალერი მატარაძე ადასტურებს, რომ თემურ გოცირიძის ფირმა „კარიბჭეს“, „მარიამის“ საკონტროლო პაკეტის 70%-ს, „სალხინო 93“-ის 30%-ს ფლობს.

გალერი მატარაძე: „მრავალფუნქციურ კომპლექსს ვაშენებთ, რომელსაც „გლდანი მოლი“ ერქმევა. მიწა ჩემია. მშენებლობას კი, რომელიც 20-21 ათას კვ.მ-ზე მიმდინარეობს, ინვესტორი აფინანსებს. თბილისში ასეთი ფართობის შენობა, მგონი, მეორე არ იქნება. მშენებლობის შესახებ მთელმა მერიამ იცის. გვაჩქარებენ კიდეც, მშენებლობა დროზე ადრე დაამთავრეთო. ობიექტი, წესით, 2014 წლის თებერვალში უნდა დასრულდეს, მაგრამ, ვფიქრობ, „გლდანი მოლს“ ექსპლუატაციაში 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გავუშვებთ. თემურ გოცირიძეს ამ მშენებლობასთან კავშირი არ აქვს. უბრალოდ, თავის დროზე, ფული ჰქონდა, „მარიამი“ ააშენა და 70% მივეცი... ამ ადგილას ნაგავსაყრელი იყო და 1993 წელს ნასესხები ფულით ვიყიდე... „გლდანი მოლში“ ორი კომპანია — შპს „სალხინო 93“ და „გლდანი მოლია“ გაერთიანებული“.

შპს „სალხინო 93“-ის დირექტორი გრიგოლ მოთიაშვილი კი განგვიმარტავს, რომ სავაჭრო ცენტრსა და მეტროს შორის 6-მეტრიან ზოლს აუცილებლად დატოვებენ, რათა, საჭიროების შემთხვევაში, სახანძრო თუ სამაშველო ბრიგადის მანქანებს მეტროს შესასვლელთან მისვლა არ გაუჭირდეთ და არც მეტროდან ხალხის ევაკუირება შეფერხდეს. **გრიგოლ მოთიაშვილი: „სავაჭრო ცენტრის ქვედა სართულზე საკოლმეურნეო ბაზრის მოწყობას ვგეგმავთ. მეტროსა და „გლდანი მოლს“ შორის 6-მეტრიანი ზოლი გაკეთდება და არ მგონია, სახანძროს მანქანებს მეტროსთან მისვლა გაუჭირდეთ. რადგან ნებართვა არქიტექტურის სამსახურმა გასცა, ესე იგი აშენება შეიძლება. მეტროპოლიტენმა წერილი მოგვწერა, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კუთვნილი კომუნიკაციები და თუკი სამშენებლო სამუშაოების დროს კომუნიკაციები დაზიანდება, ჩვენი ხარჯებით უნდა აღვადგინოთ“.**

„ვერსია“ სავაჭრო ცენტრ „მარიამის“ მფლობელ **თემურ გოცირიძეს** დაუკავშირდა. გოცირიძე წლებია პოლიტიკაშია ჩაბმული — 1999, 2003 და 2008 წლების საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა. 2012 წელს კი, როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ქართული ოცნების“ გლდანის ოფისის ხელმძღვანელად დაინიშნა. გოცირიძე მეტროსადგურ „ახმეტელთან“ მიმდინარე მშენებლობასთან კავშირს უარყოფს და აცხადებს: **„ამ შენობის აშენება სწორად არ მიმაჩნია, რადგან მეტროდან გამოსასვლელს ნაწილობრივ გადახურავს — მეტროდან გამოსული მგზავრი ზემოთ ესკალატორით ავა, შენობაში გადახურულ დერეფანს გაივლის და ქუჩაში ისე გავა. ეს დერეფანი ვიწრო იქნება. ვურჩიე, ფართე დერეფანი გაეკეთებინათ, მაგრამ არ დამეთანხმნენ... ეს პროექტი მეტროში შესვლა-გამოსვლას შეზღუდავს. ინვესტიციის ჩადება და მშენებლობაში მონაწილეობა მინდოდა, მაგრამ პროექტი რომ ვნახე, უარი ვთქვი. შევთავაზე, მშენებლობა „მარიამის“ წინ კი არა, მის გვერდით გაეგრძელებინათ, მაგრამ უარი მითხრეს. ყაზახეთში მოღვაწე ქართველები ნახეს და ამ ობიექტს მათი ფულით აშენებენ. წლებია, პოლიტიკაში ვარ ჩართული და მინდა, ამომრჩევლის ინტერესები იყოს დაცული, ამიტომ მერიაში განცხადება შევიტანე და პროექტის ნაწილობრივი შესწორება ვითხოვე. სამწუხაროდ, მოსახლეობის ინტერესი ვერ დავიცავი — მერიაში ამ თხოვნაზე უარი მითხრეს“.**

„გლდანი მოლს“ სამშენებლო კომპანია „დედაბოძი“ აშენებს, რომლის დირექტორი მერაბ შუკაკიძეც „სალხინო 93“-ის მეწილეა. შუკაკიძის განმარტებით, მეტროსადგურ „ახმეტელთან“ მდებარე მიწის მეპატრონე შპს „სალხინო 93“-ია, რომლის მეწილეებიც, თავის მხრივ, გალერი მატარაძე, თემურ კოპალეიშვილი, მერაბ შუკაკიძე და ლამზირა ნუგზარიშვილი არიან.

„სალხინო 93“-მა „გლდანი მოლს“ ხელშეკრულება გაუფორმა და შენობის 30%-ს მიიღებს. შპს „გლდანი მოლის“ მფლობელი საქართველოს მოქალაქე შალვა ჯახუტაშვილია, რომელსაც ყაზახეთშიც აქვს ბიზნესი და საქართველოშიც. მან ინსტიტუტი ყაზახეთში დაამთავრა, ყაზახეთის 2008 წლის მოწვევის პარლამენტის წევრიც იყო... „გლდანი მოლში“ ფართები კი არ გაიყიდება, გაქირავდება. ეს ხალხზე გათვლილი პროექტია, რომელიც 2 000 სამუშაო ადგილს შექმნის. 21 000 კვმ-იან შენობაში 5 200 კვმ-ზე პარკინგი მოეწყობა.... „კარფურს“ მივაქირავებთ ფართს, „გუდვილს“ თუ სხვას, ეს შემდგომი ეტაპია. ამჟამად მოლაპარაკება მხოლოდ „ფურშეტთან“ მიმდინარეობს... ამ ობიექტში 5-მილიონიანი ინვესტიცია იდება“, — აცხადებს შუკაკიძე.

ასეა თუ ისე, „გლდანი მოლი“ შენდება. გლდანი-ნაძალადევის გამგებელი ნოდარ სანდუხაძე აცხადებს, ეს პროექტი დიდი ხანია არსებობს, მშენებლობის ნებართვა მერიის გაცემულია და ხელს ვერ შევუშლიდი, მით უმეტეს, არა მგონია, ამით რამე შავდებოდესო. მერიაში ამბობენ, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას არ აქვს პრობლემა და ობიექტი რატომ არ უნდა აშენდესო. მეტროპოლიტენშიც პრეტენზია არავის აქვს. საკმარისი იქნება თუ არა „გლდანი მოლსა“ და მეტროს შესასვლელს შორის დატოვებული 6-მეტრიანი ზოლი მეტროდან ხალხის ევაკუაციისთვის ან პირიქით, მეტროში ხალხის ჩასაყვანად? — ეს მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუკი, ღმერთმა არ ქნას, მაგრამ ამის საჭიროება დადგება. ჩვენ კი, ფაქტის წინაშე ყველაზე შეუფერებელ მომენტში დავდგებით და მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ დავსვამთ კითხვას — უნდა გაეცა თუ არა მერიას სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის, მეტროს მიმდებარედ, სავაჭრო ცენტრის მშენებლობის უფლება? თუმცა, სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ეს და „ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩენილი გზა“ არავის გაუკვირდება.

უხარისხო მედიკამენტების ბუმი საქართველოში

რაფომ არ გაიაფდა წამლები და რაფომ შემოაქვთ ფარმაცევტულ კომპანიებს პრეპარატები ძირითადად ინდოეთიდან, ჩინეთიდან ან პაკისტანიდან

მერაბ ბერიძე

საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკას ვერ უძლებს. მოსახლეობის უსაფრთხოების დაუცველობა იქიდანაც ჩანს, რომ საერთოდ არ კონტროლდება წამლის ხარისხი და ამის გამო, გავრცელებული ინფორმაციით, მედიკამენტებში არსებული სამკურნალო ნივთიერება მთლიანი შემადგენლობის მეოთხედს არ აღემატება.

ამ დროს კი, ყველაზე ძვირადღირებულია ადამიანის ჯანმრთელობა. დღეს, საქართველოში უჭირთ ეფექტური სამკურნალო კურსის ჩატარება, რაშიც ლომის წილი სააფთიაქო ქსელის მედიკამენტების ხელმისაწვდომობას და ხარისხს უკავია.

საქართველოს დედაქალაქი ერთ-ერთი ლიდერია აფთიაქების რაოდენობით, სხვა საქმეა, რამდენად აისახება ეს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე.

ამ პრობლემაზე ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი **მაგდა ანიკაშვილი** დიდი ხანია მუშაობს და იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ქვეყანაში ძალიან სუსტია კონტროლის მექანიზმი: **„შექმნილ მდგომარეობაზე მონაცემები, პრაქტიკულად, არ გვაქვს. სახელმწიფო რეგულაციები არ არსებობს აღიარებითი რეჟიმის გამო ევროკავშირის ქვეყნებთან, არადა თავად ევროკავშირი მუდმივად საუბრობს, რომ ებრძვის ფალსიფიცირებულ ფარმაცევტულ პროდუქციას. უამრავი ფალსიფიცირებული, მოქმედ სტანდარტებთან შეუსაბამო წამალი აღმოაჩინეს, ჩვენ კი ამ საფრთხეს ყურადღებას რატომღაც არ ვაქცევთ და პირდაპირ ვიღებთ ბაზარზე არსებულ პროდუქციას, რაც არაგონივრულია. ხშირად მსმენია წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, თუ გერმანიისა და საფრანგეთის ბაზარზე რაიმე დაშვებულია, როგორ შეიძლება, ის პირდაპირ არ მივიღოთო, მაგრამ პრეტენზია მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ გვექნება, თუ დავრწმუნდებით, რომ ავტორიტეტული კომპანიების მიერ, სრული სტანდარტების დაცვით წარმოებული პრეპარატები შემოდის. თანაც, ფარმაცევტულ ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქტის წარმოება ერთ-ერთი მსხვილი, მაღალშემოსავლიანი და შავი ბიზნესია, რაშიც მსოფლიოა ჩართული, განსაკუთრებით, ჩინეთი, ინდოეთი... არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც ევროკავშირიდან შემოსული მედიკამენტები ან ნივთიერებები, რომლებსაც წამლების დასამზადებლად იყენებენ, ქართულ ბაზარზე სულ 25-27%-მდეა, დანარჩენი პროდუქცია აზიის ქვეყნებიდან შემოდის და ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო დაუცველნი ვართ; ამიტომაა აუცილებელი, შემოსულ პროდუქციასთან დაკავშირებით მკაცრი რეგულაციები არსებობდეს და კვლევები ჩატარდეს, რასაც ჩვენი სახელმწიფო არ აკეთებს — ხარისხის შემსწავლელი სახელმწიფო ლაბორატორიაც კი არ არსებობს. თუ არ ვცდები, არის ერთი-ორი კერძო ლაბორატორია, სადაც ხელისუფლება შერჩევითად, რამდენიმე მედიკამენტზე კვლევას უკვეთავს, რაც, ცხადია, სანდო და ყოვლისმომცველი კონტროლი ვერ იქნება. ასე რომ, ვითარება სავალალოა. სასურველია, კანონმდებლობა გამკაცრდეს და კონტროლის ეფექტური მექანიზმი შემოვიღოთ“.**

ამ კონტექსტში, მაგდა ანიკაშვილი ჩვენი მოქალაქეების მხრიდან მედიკამენტების ჭარბ მოხმარებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რასაც ბევრი მიზეზი აქვს: **„ჩვენში მედიკამენტებს ოთხჯერ მეტად მოიხმარენ, ვიდრე, საშუალოდ, ევროკავშირის ქვეყნებში: ადამიანს უჭირს, მიმართოს კვალიფიციურ ექიმსა თუ სამედიცინო დაწესებულებას და თვითნებურად ყიდულობს მედიკამენტს; გარდა ამისა, არსებობს ფარული შეთანხმებები ფარმაცევტულ კომპანიებსა და ზოგ სამედიცინო დაწესებულებასა თუ პერსონალს შორის, თუმცა ამაზე საუბარი ძნელია, რადგან სათანადო კვლევა არ არსებობს... ასეთ დროს, საზოგადოება აღნიშნული მედიკამენტების ხარისხით დაზღვეული არ არის, შეიძლება არ ავნოს, მაგრამ შედეგიც არ მისცეს და გამოდის, ადამიანების დანაზოგი იხარჯება უშედეგოდ. ამ პრობლემას ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. როგორი კანონმდებლობა და რეგულაციებიცაა ქვეყანაში, წამალიც შესაბამისი ხარისხისაა და ცხადია, აქ პირველ რიგში, ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება“.**

კითხვაზე, ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ იცვლება თუ არა ვითარება ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე, ანიკაშვილი ამბობს, რომ მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ ამჩნევს: **„მეტიც — ხელისუფლების ცვლილებისთანავე ალაპარაკდნენ იმაზე, თუ როგორ გაიაფდა მედიკამენტები... პერიოდული ვარდნა ნამდვილად იყო, მაგრამ არა ფართოდ მოხმარებულ და მოსახლეობისთვის ყველაზე ძვირადღირებულ, მნიშვნელოვან მედიკამენტებზე. პრინციპში, ძველი ფასებია შენარჩუნებული, თუმცა გაიაფებაზე მეტად ისაა მნიშვნელოვანი, წამალი სხვადასხვა სადაზღვევო სქემებსა თუ ჯანდაცვის პროგრამებში იგულისხმებოდეს. სასურველია, გარკვეული არაპირდაპირი რეგულაცია, ფასთწარმოქმნის პროცესზე კი, სახელმწიფოს ირიბი გავლენა უნდა ჰქონდეს. წამალი ყველგან ძვირია, ხარისხიან მედიკამენტში მეტი თანხა უნდა გადაიხადო, მაგრამ ევროპაში შედარებით უადვილდებათ მედიკამენტების შეძენა, რადგან იქ სადაზღვევო კომპანიები და სახელმწიფო ეხმარება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის. სიმბოლურია უმწეოთა და პენსიონერთა დაზღვევაში ჩადებული ლიმიტი, წლიური 50 ლარი, ისიც 50%-იანი თანაგადახდით, აღარაფერს ვამბობ ონკოლოგიურ სფეროში არსებულ პრობლემებზე, სადაც სრული კატასტროფაა, რადგან მათი პრეპარატები 300-400 ლარი ღირს. ერთ-ერთი მთავარი საკითხია, პირველი ივლისიდან, საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში რამდენად იქნება გათვალისწინებული მედიკამენტების კომპონენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თემა ისე დაიხურება, როგორც აქამდე იყო დახურული“.**

თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ ხელმძღვანელი **ზურაბ ფუტკარაძე** ამბობს, რომ მედიკამენტების ფასები და ხარისხი სხვადასხვა ჭრილში უნდა განვიხილოთ. მისი თქმით, ბოლო დროს ფასების კლების ტენდენციის მიუხედავად, ნიხრები მაინც მაღალია და ეს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მონოპოლიის დამსახურებაა: **„რეალურად, ქსელს ორი-სამი ფირმა უზრუნველყოფს. მაგრამ ბოლო დროს, ახალი კომპანიები გამოჩნდა, როგორც ვიცი, კიდევ ერთი ახალი შემოდის და კლებისკენ მიდის ტენდენცია. ყოველ შემთხვევაში, იმედი უნდა ვიქონიოთ“.**

მისივე თქმით, ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე სავალალო მდგომარეობას წამლის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები ქმნის: **„წამლის ხარისხს უმთავრესი დანიშნულება აქვს. შეიძლება, ერთი წამალი 2 ლარიც ღირდეს და ათიც. გასაგებია, რომ იაფფასიანი პრეპარატი ადამიანს ვერ მოარჩენს და სჯობს, ათლარიანი მიიღოს. რითაა ეს გამოწვეული? წამლის შექმნასა და დანერგვას ძალიან დიდი დრო (10-15 წელი) და ფინანსური დანახარჯი სჭირდება, საქართველოს კი ამის საშუალება არ აქვს. ორიგინალები იქმნება განვითარებულ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. რამდენიმე წლის შემდეგ, მწარმოებელმა შეიძლება პატენტივით მიყიდოს და გენერიკები სხვა ქვეყანამაც აწარმოოს. ჩვენთან, ძირითადად, ეს გენერიკები, პატენტი შემოდის, მაგრამ დასახელების შეცვლის მიუხედავად, წესით, ქიმიური შემადგენლობა, ეფექტი იგივე უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ ხდება. აქაური ხარისხი საწყის მოცემულობას არ შეესაბამება.**

კანონი ფარმაციის შესახებ ლიბერალური გახდა და შემომტანებს ნებისმიერი მედიკამენტის შემოტანის საშუალება ეძლევათ. კომპანიამ სამინისტროს მომსახურების წამლის განყოფილებაში ნებართვა უნდა აიღოს, მაგრამ 10 დღის ვადაში შესაბამისმა სამსახურმა დადებითი ან უარყოფითი პასუხი თუ არ გასცა, შეუძლია, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, წამალი ქვეყანაში შემოიტანოს და მისი რეალიზაცია მოახდინოს. ეს ათდღიანი ვადა, ხშირად არაა საკმარისი წამლის ვარგისიანობის შესასწავლად, ამ დროს აუცილებელია მედიკამენტის ლაბორატორიული შემოწმება, ნამდვილად ეკვივალენტურია თუ არა იგი თავისი ქიმიური და ბიოლოგიური შემადგენლობით და ამიტომაც ხშირია არაეფექტური წამლის შემოტანის შემთხვევა. ჩვენი ბაზრის 80-90% გენერიკებითაა წარმოდგენილი, ხშირად მწარმოებელ ქვეყნებშიც ხდება მათი ფალსიფიკაცია... ბოლო დროს, მედიკამენტები ევროპიდან და ამერიკიდან იშვიათად შემოდის, ძირითადად, შემოედინება ინდოეთიდან, პაკისტანიდან და ჩინეთიდან. ფარმაცევტებს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ — ამ ქვეყნებშიც ევროპული წარმომადგენლობები მუშაობენო, არადა ხარისხი და ეფექტურობა აშკარად დაბალია.

მეორე მხრივ, ჩვენთან წამლით მკურნალობის პროცენტიც ძალიან მაღალია — 40- 50% მაშინ, როცა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მედიკამენტის წილი 20-25, ზოგან კი მხოლოდ 16 პროცენტია. ამის ერთ-ერთი ფაქტორი აქაური წამლების უხარისხობა, ფალსიფიცირება და არაეფექტურობაა“.

ქართული ფარმაცევტული ბაზარი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, რაც დროულ ჩარევას მოითხოვს. ბიზნესის განვითარებისა და ბიუჯეტის შევსების პოლიტიკამ მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს. სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მთავრობამ ამ სფეროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს.



შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად ბათუმში, ილია ჭავჭავაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაზე, 1988 წელს დაბადებული გიგა ბ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 4 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ამოღებული 16,67 გრ ნარკოტიკიდან 3,67 გრ „ჰეროინს“ შეიცავს.

ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა ასევე, რომ გიგა ბ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-მოხმარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 8-დან 20-წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს).

„ინტერპრესნიუსი“

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი მიცვალებულის დაკრძალვას ექსპერტიზის ჩატარებამდე არ აპირებს

გარდაცვლილი პატიმრის, ლევან კორტავას ოჯახი მიცვალებულის დაკრძალვას ექსპერტიზის ჩატარებამდე არ აპირებს. გარდაცვლილის მამიდა, ხათუნა კორტავა აცხადებს, რომ მათთან სახალხო დამცველის წარმომადგენელი მივიდა, რომელიც დაპირდა დახმარებას, თუმცა ჯერჯერობით, არ დახმარებია: **„ამ სახელმწიფოში სამართალს ვერ ვიპოვი, რაც მოხდება, მოხდება. არავითარ შემთხვევაში არ დავმარხავ. სახალხო დამცველის წარმომადგენელი მოვიდა, ყველა ლამაზი სიტყვებით მოდის და მიდის. არასამთავრობო ორგანიზაციებს, საია-ს ვთხოვდი მოსულიყო, მაგრამ ტელეფონით მესაუბრნენ. მოდით და ნახეთ, გადაიღეთ. განადგურებული ვარ, შვილი მომიკლეს“.**

ხათუნა კორტავასვე თქმით, გარდაცვლილს სხეულზე ერთი ნაწილიც კი არა აქვს დაუზიანებელი: **„ამბობენ, რომ იაფფასიან ხრეშსა და ქვებზე დავარდა. როგორ დავარდა ასე, რომ ხელი მოიტეხა, კისერი მოიტეხა, ხერხემალი გადაიტეხა, თითები დაიმტვრია... ლევანი მკვდარი მიასვენეს საავადმყოფოში“.**

გარდაცვლილი პატიმრის მამიდა იმასაც აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა ყველაფერი იცოდა ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ და ციხის ხელმძღვანელობამ ასეთ ფაქტებს ხელი უნდა შეუშალოს: **„ბოლო ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ... ასე ბოლომდე იბრძოლა გირგვლიანის დედამ და სამართალს მიაღწია. მართალია, სტრასბურგმა გაამართლა, მაგრამ სახელმწიფომ ფეხებზე დაიკიდა“.**

ხათუნა კორტავა იმასაც ამბობს, რომ გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი სიღარიბის ზღვარსქვემოთაა, დაკრძალვის სახსრები არ აქვთ და არც სახელმწიფოს შეუთავაზებია დახმარება.

23 მაისს, სასჯელაღსრულების სამინისტრომ პატიმრის გარდაცვალების შესახებ ორი სხვადასხვა ვერსია გაავრცელა. პირველი ვერსიით, პატიმარი სამედიცინო დაწესებულებაში კიბეზე დაგორდა. მეორე შემთხვევაში კი, სამინისტრო იუწყებოდა, რომ პატიმრებს შორის დაპირისპირების შედეგად მიიღო დაზიანებები, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

„ინტერპრესნიუსი“

27 მაისს, კინოთეატრ „ამირანში“ დოკუმენტური ფილმის — „მიწის სჯულის“ ჩვენებით, „ქართული დიასპორის დღეები 2013“ გაიხსნა. დიასპორის დღეები 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება და მის ფარგლებში უამრავი კულტურული ღონისძიებაა დაგეგმილი — უცხოეთში მოღვაწე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კლასიკური მუსიკის საღამო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ამასთან, გაიმართება დიასპორის საკითხებზე შექმნილი ფილმების ჩვენება. ქართული დიასპორის დღეებს „თეატრი ათონელზეც“ უმასპინძლებს, სადაც წარმოადგენენ, ქეთი დოლიძის სპექტაკლს.

„ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ თქვენ ღირსეულად გეცხოვრებოდეთ სამშობლოში“

რუსთაველის თეატრში გაიმართა გალაკონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ უცხოეთში მოღვაწე, ასევე საქართველოში დაბრუნებული წარმატებული ქართველი ხელოვანები: ალექსანდრე კორსანტია, ვალერიან გამგებელი, ნანა მირიანაქავთარაშვილი, გია ონიანი, თამთა ტარიელი, ზაზა მარჯანიშვილი, ბენდი და სიმებიანი კვარტეტი „შტორცანდო“, დავით ციცქიშვილი, ლუკა ოქროსცვარიძე, ხათუნა შავგულიძე, არჩილ ბლუაშვილი, ავთანდილ თოფურია, ვახო მუსხელი, ქეთევან სირბილაძე, ირაკლი ძნელაძე. გალაკონცერტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და კულტურის მოღვაწეები ესწრებოდნენ.

კონსტანტინე სურგულაძე განაცხადა, რომ აღნიშნული ღონისძიება მცდელობაა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართული დიასპორა სამშობლოში დაბრუნდეს: **„რთული სათქმელია, დღეს-ხვალ მოვახერხებთ, ყველა ქართველს შეეძლოს ჩამოსვლა და მუშაობა ჩვენს ქვეყანაში, დღესაც კი უმუშევრობის მაღალი დონეა ჩვენთან, თუმცა ჩვენ უნდა გავაკეთოთ მაქსიმალური, რათა მოვიზიდოთ ინვესტიციები, შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები, ამ ადამიანებს შევუქმნათ განცდა, რომ დაუპურებელი და უმუშევარი არავინ დარჩება. ამის ფეხდაფეხ უნდა მოხდეს ჩვენი თანამემამულეების დაბრუნება“.**

სიტყვით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ქართველ ემიგრანტებზე, რომლებიც საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელად არიან გადახვეწილნი: **„ძალიან ბევრია ისეთი, ვისაც შეუძლია თავისი ნიჭი მსოფლიოს აჩვენოს... ასეც უნდა მოიქცნენ, თუმცა, უნდა ჰქონდეთ საშუალება, ეცხოვრებოდეთ სამშობლოში. ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ“.**

კონცერტი ქართველი მომღერლების მიერ შესრულებული ემოციური სიმღერით დასრულდა. „ჩვენ დავბრუნდებით“ — კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის სიმღერას არავინ დაუტოვებია დარბაზში გულგრილი. კონცერტს სიმღერის ტექსტის ავტორი, პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანიც** ესწრებოდა: **„ჩემი სურვილიც ამ ადამიანების საქართველოში დაბრუნებაა. ოღონდ, ისეთ საქართველოში, საიდანაც აღარასოდეს მოუნდებათ წასვლა. ბევრი სასიკეთო ცვლილებაა დღეს ჩვენს ქვეყანაში. მჯერა, ეს ხალხი აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში“.**

„ვერსია“ სხვა სტუმრებსაც გაესაუბრა. **გუბაზ სანიკიძე**, დიასპორის კომიტეტის თავმჯდომარე: **„ქართული დიასპორის დღეები“ უკვე მეექვსედ ტარდება. ეს დღე მნიშვნელოვანია ყველა ქართველისთვის, განსაკუთრებით კი იმ ჩვენი თანამემამულეებისთვის, რომლებიც ბედისა თუ უბედობის გამო საზღვარგარეთ იმყოფებიან. საქართველო ვერასოდეს იქნება სრულფასოვანი ქვეყანა, თუ მის აღმშენებლობაში ჩვენი სათვისტომოები არ ჩაერთვებიან. დღითიდღე იზრდება სამშობლოში მათი დაბრუნების შანსი“.**

ზურა შარია, მსახიობი: **„მიმაჩნია, რომ მსგავსი დღეები წელიწადში რამდენიმეჯერ უნდა ჩატარდეს, თითოეულ ჩვენგანს ჰყავს საზღვარგარეთ მეგობარი, მეზობელი თუ ნათესავი... ასე რომ, ჩვენი ტკივილია და უნდა ვეცადოთ, ეს ხალხი სამშობლოში დავაბრუნოთ“.**

რეზო ჩხეიძე, კინორეჟისორი: **„ამ ადამიანებზე ემოციის გარეშე ვერ ვსაუბრობ — რამდენი ნიჭიერი ქართველია წასული ქვეყნიდან, რამდენი დედა-შვილი, ცოლ-ქმარი და ნათესავია ერთმანეთს მონატრებული. ჩვენი უმთავრესი მისია ამ ადამიანების სამშობლოში ჩამოყვანაა და ასეთი ღონისძიებებიც ხელს შეუწყობს ამ საქმეს. მთავარია, მათ შესაბამისი პირობები, სამუშაო ადგილები, წელგამართული ქვეყანა დავახვედროთ“.**

ნათია ვასაძე

„აფბამ“ საბჭოთა ანაბრების შესახებ კონფერენცია გამართა

„საბჭოთა ანაბრები და სახელმწიფოს შიდა ვალი“ – „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ ამ თემაზე კონფერენცია გამართა, რომელსაც აკადემიური წრეების, ექსპერტული საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის და ხელისუფლების 40-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

კონფერენციაზე მიმოიხილეს პრობლემის წარმოქმნის ისტორია და განიხილეს მეანაბრეთა კომპენსირების სხვადასხვა მოდელები. ღონისძიებას ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ, რომელთაც ცალსახად დააფიქსირეს, რომ პრობლემა სახელმწიფო დონისაა და მისი პერსონიფიცირება და ცალკეულ პიროვნებებზე მიწერა ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა 90-იან წლებში განვითარებული მოვლენები თავის პრეზენტაციაში საინტერესოდ გაშალა და ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი ქრონოლოგიურად წარმოადგინა. შემდგომი გამოსვლები ანაბრების გაუფასურების მიზეზებზე საუბარს დაეთმო და გამომსვლელებმა საკუთარი შეფასებები გააკეთეს. კონფერენციის მეორე ნაწილში მონაწილეებმა კომპენსირების მექანიზმებზე იმსჯელეს და საკმაოდ ბევრი მოდელი იქნა შემოთავაზებული.

მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ბატონების — ანზორ საკანდელიძისა და მალხაზ ცისკარიშვილის მიერ შემოთავაზებული მექანიზმი, რომელიც ანაბრების კომპენსირების გარდა, მეწარმეობის ხელშეწყობასაც მოიცავს. კერძოდ, მათი იდეა მდგომარეობს საგადასახადო თამასუქების გამოშვებაში, რომლებიც დაზარალებულ მეანაბრეებს გადაეცემათ და მათ მიერ ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში ამ თამასუქით შესაძლებლობა მიეცემათ, წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულება ჩაითვალონ. მეანაბრეებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა, ეს თამასუქი გაყიდონ, როგორც ფასიანი ქაღალდი და ამით ხელი შეეწყობა მეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. კომპენსირების აღნიშნული მოდელი კონფერენციაზე ფართო განხილვის საგნად იქცა.

ერთ-ერთი იდეა მდგომარეობდა დაზარალებული მეანაბრეების სხვადასხვა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების აქციებით კომპენსირებაში, თუმცა „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის, სოლომონ პავლიაშვილის განცხადებით, ამ იდეის რეალიზება ვერ მოხერხდება, რადგან ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი განვითარებული არ არის და აქციების კოტირება არ ხდება, ამიტომ პროფესორი პავლიაშვილი კომპენსირების ფულად ფორმას უჭერს მხარს.

კონფერენციაზე საინტერესო სქემა იქნა შემოთავაზებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საბანკო სფეროს ექსპერტის ლია ელიავას მიერ, რომელიც დაზარალებულ მეანაბრეებზე კომპენსაციის გაცემის ოპტიმალურ წყაროდ პრივატიზაციის შედეგად, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებში აკუმულირებულ თანხებს მიიჩნევს. ექსპერტის შეფასებით, ამ მექანიზმის გამოყენება ეკონომიკის სტიმულირებასაც მოახდენს, ვინაიდან ქვეყანაში თითქმის 2 წელია დეფლაციური პროცესები მიმდინარეობს და ეკონომიკაში ფულის ინექცია დადებითად აისახება შექმნილ ვითარებაზე.

მსჯელობა გაიმართა ანაბრების მოცულობის დადგენის გზების თაობაზეც. ფაქტია, რომ დღემდე დაზუსტებული და საბოლოო ციფრი არ არსებობს. კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ, „საქსტატის“ წარმომადგენელმა ლევან ქარსაულიძემ, რომელიც სახელმწიფოს შიდა ვალის პრობლემების შემსწავლელი კომისიის (აღნიშნულ კომისიას ეხება ანაბრების საკითხიც) წევრია, განაცხადა, რომ კომისიას ანაბრების პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ არ უმუშავია, თუმცა მათ მიერ შესწავლილი იქნა კოოპერატიული ბინათმშენებლობის პრობლემა, რომელიც ასევე სახელმწიფოს შიდა ვალია. ქარსაულიძის განცხადებით, ფასების დონის ცვლილების მიხედვით, თანხების ინდექსირების შედეგად, კოლოსალური ციფრი იქნა მიღებული და მისი შეფასებით ანაბრების ინდექსირების შემთხვევაშიც, მიღებული თანხა იქნება ძალიან დიდი და ქვეყანა მის გასტუმრებას ვერ შეძლებს, თუმცა კონფერენციის მონაწილეების მხრიდან იქვე დაფიქსირდა, რომ სახელმწიფოს მიზანია, კომპენსირება და არა ვალის სრულად ანაზღაურება.

კონფერენციაზე ბევრი საინტერესო პოზიცია და მოსაზრება გამოითქვა. შედეგად, მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შეიქმნება ჯგუფი, რომელიც იმუშავებს კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრებების, გამართული დისკუსიის და შეთავაზებული იდეების სისტემატიზებაზე, თავმოყრასა და მის გამოცემაზე. ეს დოკუმენტი იქნება ერთგვარი გზამკვლევი, კრებული, რომელშიც თავს მოიყრის საბჭოთა ანაბრების პრობლემის შესახებ სამეცნიერო წრეების, ექსპერტების და არასამთავრობო ორგანიზაციების შეჯერებული პოზიცია და ხედვა პრობლემის გადაჭრასთან მიმართებაში.

„ვერსიანიუსი“

დეპუტატებს, შესაძლოა, თვითმფრინავი მოემსახუროს

პარლამენტსა და Georgian Airways შორის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, დეპუტატები თბილისიდან ქუთაისში გადაფრინდებიან, — აცხადებს უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე: **„მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ კომპანიასთან. 3 ივლისიდან ის იწყებს რეგულარულ ფრენებს თბილისი-ქუთაისი-თბილისის მიმართულებით, კვირაში 4-ჯერ გააკეთებენ რეისს. ბილეთის ფასი არის 89 ლარი. ჩვენ თუ გავაფორმებთ ერთიან კონტრაქტს, მაშინ გადაადგილება 44.5 ლარი დაგვიჯდება. თვითმფრინავი დილით ადრე გამოფრინდება, 20 წუთში ქუთაისში იქნება, საღამოს 9-ის ნახევარზე გაფრინდება და ასევე 20 წუთში იქნება თბილისში. დღეს მივიღეთ ოფიციალური წერილი შემოთავაზებასთან დაკავშირებით“.**

ამასთან, დეპუტატების გარდა, თვითმფრინავით პარლამენტის აპარატის თანამშრომლებიც იმგზავრებენ.

მისივე თქმით, დეპუტატებსა და აპარატის თანამშრომლებს ხშირად უწევთ თბილისსა და ქუთაისში გადაადგილება და აღნიშნული წინადადება მათთვის ხელსაყრელი იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

„თუთიყუში მარჩელო“, „თუკი გესიზმრები“ ან „მოდიოდა თეთრი გოგო“ ვინც უნდა იმღეროს, ყველას მაინც მე გავახსენდები“

რა სარგებელი მოუტანა ქვეყანას პარლამენტში ყოფნით, რატომ განევრიანდა მემარცხენე ალიანსში და ანსახიერებს თუ არა სერიალში საკუთარ თავს ნუგზარ ერგემლიძე?!

ნათია ვასაძე
555-98-61-65

მუსიკოსი, მხატვარი და ყოფილი პარლამენტარი ნუგზარ ერგემლიძე, პოლიტიკურად განსაკუთრებით აქტიური არასოდეს ყოფილა, თუმცა მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ორგანოში მისი ყოფნა უშედეგო არ იყო და უამრავი საჭირბოროტო საკითხის გადაჭრა თუ არა, წინ წამოწევა მაინც მოახერხა. ცოტა ხნის წინ, მემარცხენე ალიანსში გაწევრიანების პარალელურად, ახალ ამპლუაშიც მოგვევლინა — სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ კატოს მამის როლს ასრულებს. მოკლედ, ბატონ ნუგზარს მსახიობობაც გამოუვიდა, თუმცა ამ „გარდასახვების“ შესახებ, თავად გვიამბობს.

— სერიალში გადაღება მიშა მშვილდაძემ შემომთავაზა. მხოლოდ ერთი პირობით დავთანხმდი — თანახმა კი ვარ, მაგრამ ჯერ შემამოწმეთ-მეთქი. მიუხედავად ამისა, ყოველგვარი კასტინგის გარეშე აღმოვჩნდი გადასაღებ მოედანზე. ახლა ყველა მეუბნება — საკუთარ თავს თამაშობ, მაგრამ არც ეგრეა საქმე — დიდი ძალისხმევა დამჭირდა, როლში რომ შევსულიყავი. ფილმში თამაშია რთული, თორემ სუფრასთან ყველა „ღადაობს“.

— ალბათ, ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილებაც დაგეხმარათ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ კინო მაინც სხვაა. ტელევიზიაში გამუდმებით კამერასთან კონტაქტი გიწევს, აქ პირიქით — კამერას არ უნდა უყურო. მოკლედ, სულ სხვა სპეციფიკაა, თუმცა, თუ მოინდომებ, შეუძლებელი არაფერია.

— თქვენთვის არც ხატვა და ლექსების წერაა უცხო...

— არა მხოლოდ ლექსების, რომანიც დავწერე — „არმაგედონის მათრახი“. ლექსების წერისთვისაც თავი არ დამინებებია. გარდა ამისა, ნათარგმნი მაქვს გალაკტიონის, ლადო ასათიანის ლექსები. პარალელურად, ვხატავ. სწორედ ახლა, მხატვართა კავშირის 80 წლისთავთან დაკავშირებით, გამოფენა გაიმართა და იქ ჩემი ნამუშევარიც გამოიფინა.

— ახალი სიმღერების შექმნასაც ახერხებთ?

— სწორედ ახლა ვმუშაობ ორ ახალ სიმღერაზე.

— როგორ ფიქრობთ, ეს სიმღერები ახალი თაობის მსმენელს მოეწონება?

— სიმღერები მსმენელის გემოვნებას კი არ უნდა მოარგო, ისე უნდა იმღერო, ყველამ მოგისმინოს. ჩემს სიმღერებს კი არასოდეს მოკლებია მსმენელი, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა „ვიბლოკებოდი“.

— ხელისუფლება „გბლოკავდათ“?

— ხელისუფლება არა — ტელევიზიები. პარლამენტარობის პერიოდში, გადაცემებში არც პირველი არხი მიწვევდა და არც აჭარის ტელევიზია. არასოდეს ვყოფილვარ „ნანუკას შოუში,“ „შუა დღეში“... ჟურნალისტები თვითონ არჩევენ, ვინ მოსწონთ და ვინ არა...

— და რატომ არ მოსწონდათ ნუგზარ ერგემლიძე?

— ქართველებმა ვიცით ხოლმე ასე: „აუ, ამან არ შეგვჭამა?! ამოგვიყვანეს ყელში...“ ტელევიზიაში რომ ვმუშაობდი, გამუდმებით მომდიოდა წერილები: „თემურ ცაგურიას ნუ ამღერებთ, რით ვეღარ დაამთავრა მაგ კაცმა სიმღერა“. სულ მიკვირდა — ნეტა, ვის რას უშავებს ამ კაცის სიმღერა-მეთქი. საქართველოში კაცს სიმღერა როგორ უნდა აუკრძალო? მილიონერი ხდები სიმღერით თუ რა? ბიზნესი თუ არ გაქვს ან კარგი სამსახური, მხოლოდ სიმღერით რთულია თავის გატანა.

— ქართულ ტელესივრცეში არსებულ მუსიკალურ კონკურსებზე რა აზრის ხართ?

— ახლანდელ დასავლეთ-ევროპული ფორმატის კონკურსებზე, ყურადღება „შოუს გაკეთებაზეა“ გამახვილებული და მაყურებელსა და ჟიურის, კონკურსანტის მონაცემებზე მეტად, „გლადიატორთა ბრძოლა“ აინტერესებთ.

— თუმცა მსგავსი კონკურსები ახალგაზრდა მომღერლების გაპოპულარულებასაც ემსახურება.

— სამწუხაროდ, ვერ დაგეთანხმებით. რომელიმე კონკურსანტი, რაღაც დროის მანძილზე, მართლაც ხდება პოპულარული, მაგრამ მომდევნო კონკურსისთანავე ავიწყდება მსმენელს. საერთოდ, როცა ბევრია კონკურსი, მონაწილეები ერთმანეთს „გადაფარავენ“ და ინდივიდუალური სახელის მოპოვების შანსი ნაკლებად რჩებათ.

— ბოლო დროს, აქტუალური გახდა უცხო ენაზე სიმღერა. ამის შესახებ რას ფიქრობთ?

— უნდა გავიგოთ, რომ ევროპას ჩვენგან ინგლისური კი არა, ქართული სიმღერა სჭირდება. გარდა ამისა, ყველა მომღერალს თავისი ნიშა უნდა ჰქონდეს — თავად უნდა „გააჰიტოს“ რომელიმე სიმღერა, რათა ნამდვილი მომღერალი გახდეს. სხვა შემთხვევაში, მომღერალი კი არა, „გადამმღერებელია“ — ვიღაცის მიერ ათჯერ ნამღერს მეთერთმეტედ რომ იმღერებ, როგორ უნდა დაამახსოვრო მსმენელს თავი?! „თუთიყუში მარჩელო“, „თუკი გესიზმრები“ ან „მოდიოდა თეთრი გოგო“ ვინც უნდა იმღეროს, ყველას მაინც მე გავახსენდები.

— რუსი მომღერლების საქართველოში ვიზიტებზე რა აზრის ხართ?

— დანაშაულად ნამდვილად არ მივიჩნევ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა და ბრიტანულმა მუსიკამ საბჭოთა კავშირს „ნიადაგი გამოაცალა“, 70-იან წლებში ბიბი კინგის თბილისში ჩამოსვლა, პოლიტიკასთან არავის დაუკავშირებია.

— ხშირად, დებატები მხოლოდ პოლიტიკაზე კი არა, რუსული ესტრადის დაბალ დონეზეა — მოგისმენიათ ალბათ, რუსული ესტრადა სულ რაღაც 3 აკორდზეა აწყობილიო...

— არც მე ვარ 27-აკორდიანი... საქმე აკორდების რაოდენობასა და რუსული ესტრადის ხარისხი კი არა — ქართველ მომღერლებს რომ კონცერტების გამართვის საშუალება არ აქვთ, ისაა. პირადად მე, რუსი მომღერლების ჩამოსვლასაც მივესალმები და არც იმ აზრს ვეთანხმები — ბოჩელი, პლასიდო დომინგო და სხვები საქართველოში არ უნდა ჩამოვიდნენო.

— მაგრამ, ბატონო ნუგზარ, ამისთვის ხომ ქვეყნის ბიუჯეტიდან არ უნდა იხარჯებოდეს თანხები...

— ეგ სხვა საკითხია და აბსოლუტურად გეთანხმებით. უცხოელი მომღერლების ჩამოყვანა, პროდიუსერთა პრერეგატივა უნდა იყოს, ბიუჯეტის თანხები კი მიზნობრივად უნდა იხარჯებოდეს.

— დეპუტატობისას თუ გააკეთეთ რამე მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად?

— მარტო გაკეთებაში ხომ არ არის საქმე, პრობლემებზე საუბარიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ხალხისთვის სარგებლის მოტანა მაშინაც შემეძლო და ახლაც. ვიცი, როგორ შეიძლება ბიუჯეტის ეფექტურად მართვა. ქვეყნისთვის სასარგებლო არაერთი იდეა მაქვს. მაგალითად, თუ სიგარეტზე გავზრდით აქციზს და ფილტვის კიბოთი დაავადებული ხალხის მკურნალობა თამბაქოს გამყიდველების მიერ დაფინანსდება, შედარებით ნაკლები ადამიანი დაიღუპება ამ დაავადებით, მაგრამ ექნებათ საკუთარი ფინანსები, საჭიროების შემთხვევაში, გამოსაყენებლად. მეორე მაგალითსაც გეტყვით: კარგი იქნება, თუ საქართველოში ბიზნესი გათავისუფლდება გადასახადის იმ ნაწილისგან, რასაც ბიზნესმენი ხელოვნებაში ჩადებს. ასეთი ბევრი საკითხია. ყოველდღიურად ათასობით უსამართლობას აწყდები. დეპუტატი უნდა იყოს თეატრალიც, სპორტსმენიც.... ვფიქრობ, ამის მოსპობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მრავალი ასეთი საკითხია მოსაგვარებელი.

— საპარლამენტო კანდიდატად ლეიბორისტებმა დაგასახელეს, თუმცა პარლამენტში მათ გარეშე შეხვედით. დეპუტატობის ცდუნებას ვერ გაუძელით და მაღალ პენსიაზე გააკეთეთ გათვლა?

— რაც შეეხება პენსიას — უფრო მეტიც უნდა ჰქონდეს პარლამენტარს. ადვილი არ გეგონოთ, 4 წელი დეპუტატის რეჟიმში მუშაობა. მანდატის დახევას, პარლამენტში შესვლა და საქმის კეთება ვარჩიე. პარლამენტში რომ არ შევსულიყავი და გარეთ დავრჩენილიყავი, უფრო მეტს გავაკეთებდი? არ ვარ მიტინგებზე მოსიარულე კაცი, არც ორატორობა მეხერხება სხვებივით... ბუნებით არ ვარ ასეთი, თორემ მემარცხენე კი გახლავართ. ახლახან, სოსო შატბერაშვილთან, კახა ძაგანიასა და კოკა გუგუშვილთან ერთად, მემარცხენე ალიანსი დავაფუძნე.

— რა შენიშვნები გაქვთ ახალ მთავრობასთან?

— ყოველგვარი გადატრიალების გარეშე რომ შედგა არჩევნები და კულტურულად შევცვალეთ მთავრობა, ეს უკვე კარგია. ახლა ქვეყანას მტრობა, ჩხუბი და ჯიბრში ჩადგომა კი არა, მემარცხენეობა სჭირდება. ნაპირზე რომ აირჩევ კაპიტანს, იმას შუა ზღვაში ვეღარ გადააყენებ. ასე რომ, გემი უკვე დაიძრა და ახლა უნდა დაველოდოთ — იმედია, უკეთეს ნაპირს მიადგება.

3 წლის ქეთას დასახმარებელი საქველმოქმედო კონცერტი 3 ივნისს გაიმართება

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსის, მევიოლინე თამარ მაღალაშვილის შვილს, 3 წლის ქეთა აბაშიძეს, ავტოავარიის შედეგად დაუზიანდა ზურგის ტვინი, ბავშვი 9 თვის მანძილზე დამოუკიდებლად ვერ სუნთქავს და ვერ მოძრაობს... და აი, გამოჩნდა იმედი! ისრაელის კლინიკაში REUTH MEDICAL CENTER-ში შესაძლებელია ქეთას მკურნალობა, რომლის სრული სარეაბილიტაციო კურსი 150 000 აშშ დოლარი ღირს.

ქეთას დასახმარებლად 3 ივნისს, 20 საათზე, გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები, გუნდი და სიმფონიური ორკესტრი საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ. კონცერტის სპეციალური სტუმარია ცნობილი ქართველი მომღერალი ვალერიანო (ნუგზარ) გამგებელი. ირაკლი ჩოლოყაშვილის დირიჟორობით კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, მზია დავითაშვილი, ლიანა კალმახელიძე, მარიკა მაჩიტიძე, ანა ცარციძე, ელენე ჯანჯალია, ვანო გალუაშვილი, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი, გოჩა დათუსანი-ჯიღაური, როსტომ იაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ანზორ ხიდაშელი. კონცერტის სრული შემოსავალი სამკურნალოდ გადაეცემა პატარა ქეთას.

ქეთა აბაშიძის დახმარების მსურველებს, ასეთი ალბათ ბევრი იქნება, ასევე შეუძლიათ თანხის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე GE02 TB74 8613 6080 100003 (მიმღები — ააიპ ფონდი ქეთევან აბაშიძე) ან დარეკვა ნომერზე 09 01 700 705.

დაესწარით საქველმოქმედო კონცერტს და შეიტანეთ თქვენი წვლილი კეთილ საქმეში, ჩვენ ბევრნი ვართ და შევძლებთ!



საქართველოში მიწისძვრა მოხდა

საქართველოში 28 მაისს, 04:09 საათზე, მიწისძვრა მოხდა. ილიას უნივერსიტეტის სეისმოლოგიის ცენტრში აცხადებენ, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლთან, აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოხუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ 40 კმ-ში დაფიქსირდა.

სეისმოლოგიის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის სიმძლავრე 5.0 მაგნიტუდას შეადგენდა.

მიწისქვეშა ბიძგები საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც იგრძნობოდა.

საბედნიეროდ, მიწისძვრას მსხვერპლი არ მოყოლია.

„ინტერპრესნიუსი“

მიხეილ სააკაშვილს სახელმწიფოს ღალატში ედება ბრალი?

რა მასალების შესწავლა დაიწყო ნოდარ ხადურის უწყებამ



მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა იმ მასალების შესწავლა დაიწყო, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, შესაძლოა, სახელმწიფოს ღალატში დასდონ ბრალი. ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცის“ დირექტორმა, თენგიზ ჩხიკვაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ 2007 წელს, სააგენტოს თანამშრომლებმა გამოიძიეს დანაშაული, რომელიც ორ ტენდერს ეხება. სააგენტო „დრო და სივრცის“ წარმომადგენლებმა ჟურნალისტური მოკვლევით დაადგინეს, რომ ორი ენერგოკომპანია, „აჭარენერგო“ და „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“, ასევე 6 ჰიდროელექტროსადგური, მიხეილ სააკაშვილმა, მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის, გიორგი არველაძის დახმარებით, ტენდერში მონაწილე ერთადერთ კომპანია „ენერგო-პროს“, საბაზრო ღირებულებასთან შედარებით, ათჯერ იაფად მიყიდეს და თითქმის, აჩუქეს. სააგენტო „დრო და სივრცის“ დირექტორმა, თენგიზ ჩხიკვაძემ მის ხელთ არსებული მასალები შესაბამისი დოკუმენტებით, ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს გაუგზავნა. 23 მაისს, თენგიზ ჩხიკვაძეს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, საგამოძიებო სამსახურმა ოფიციალური გამოძიება დაიწყო.

„ვერსიასთან“ საუბრისას, სააგენტო „დრო და სივრცის“ დირექტორმა, **თენგიზ ჩხიკვაძემ** აღნიშნა, რომ 2007 წელს, გამოიძიეს დანაშაული, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ჩაიდინა. კერძოდ, იმ პერიოდში ჩატარდა ორი ტენდერი, რომელზეც გასაყიდად გამოიტანეს საქართველოს სახელმწიფოს ენერგოგამანაწილებელი კომპანიები — „აჭარენერგო“, „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ და 6 ჰიდროელექტროსადგური. თენგიზ ჩხიკვაძის თქმით, პირველ ტენდერში მხოლოდ ერთი უცხოური კომპანია მონაწილეობდა, რადგან ოფიციალური განაცხადი არც ერთმა სხვა კომპანიამ არ გაიკეთა. უცხოური ენერგოკომპანია კი, რომელიც ტენდერში მონაწილეობდა, „ენერგო-პრო“ იყო:

„მოსახლეობამ უკვე კარგად იცოდა, რომ „ენერგო-პრო“ ჩეხური კომპანია იყო, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და 328 000 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, კომპანიას ეს თანხა ერთი თვის განმავლობაში უნდა გადაეხადა, მაგრამ არ გადაუხდია. ტენდერის ორგანიზატორი საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო იყო, შესაბამისად, მაშინდელი მინისტრი გიორგი არველაძე, ვალდებული იყო, გაებათილებინა ტენდერის შედეგები და ეს ობიექტები მეორე ტენდერზე გაეტანა, „ენერგო-პროსთვის“ კი ტენდერში მონაწილეობა აეკრძალა. მიუხედავად ამისა, მოკლე დროში მეორე ტენდერი ჩატარდა, სადაც განაცხადი ისევ ერთმა უცხოურმა კომპანიამ — შპს „ენერგო-პრომ“ გააკეთა, რაც სულ მცირე, დარღვევაა. კომპანიას ამ ობიექტებში 127 000 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. დოკუმენტებით გავარკვიეთ, რომ ერთი თვის თავზე, „ენერგო-პროს“ ეს თანხა არ გადაუხდია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტენდერის შედეგები ისევ უნდა გაბათილებულიყო. მართალია, ეკონომიკის სამინისტროში განაცხადი შევიტანეთ, მაგრამ პირველი და მეორე ტენდერის გაბათილების შესახებ დოკუმენტები ვერ მოვიპოვეთ“.

თენგიზ ჩხიკვაძის თქმით, 2007 წელს, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა 35 განკარგულება, რომლითაც ორ ტენდერზე გატანილი ენერგოობიექტები „ენერგო-პროზე“ გაასხვისა. მიხეილ სააკაშვილმა საჭიროდ ჩათვალა, რომ კომპანიები 73 500 000 აშშ დოლარად გაეყიდა, კომპანია კი თანხას ერთი თვის შემდეგ გადაიხდიდა. თენგიზ ჩხიკვაძე ამბობს, რომ ამავე განკარგულებით, სიმბოლურ ფასად, დაახლოებით, 1 000 აშშ დოლარად გაიყიდა ენერგოობიექტების დამატებითი ქონებაც: ბაღები, შენობა-ნაგებობები, სანატორიუმები, სათბურები, რომელთა ჯამური ფასი 400 000 000 აშშ დოლარია: **„თუ გავითვალისწინებთ, რომ ორი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა და 6 ჰიდროელექტროსადგურის ყოველთვიური შემოსავალი 60 000 000 ლარს აღემატებოდა, ეს ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილმა, ფაქტობრივად, სახელმწიფოს საკუთრება უცხო კომპანიას აჩუქა. მხოლოდ 6 ჰესის ჯამური ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება, სადისტრიბუციო კომპანიების ღირებულება კი რამდენიმე მილიარდი აშშ დოლარია. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, რა გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა? სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეს სახელმწიფოს ღალატია, რადგან საკუთარი სამშობლოს საზიანოდ, პრეზიდენტმა უცხო ქვეყნის კომპანიის ინტერესები დაიცვა. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ანგარებით გააკეთა თუ უანგაროდ, მთავარია, რომ ქვეყნის საზიანოდ მოიქცა. ისმის კითხვა, რა ამოძრავებდა მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც მრავალმილიარდიანი ქონება, ფაქტობრივად, უცხო კომპანიას აჩუქა? ოფიციალური დოკუმენტებით დავამტკიცეთ, რომ „ენერგო-პრო“ რუსეთის დახურული სააქციო საზოგადოება „ენერგო-პრო მ“-ია, რომლის ფილიალი პრაღაში მდებარეობს. იმ პერიოდში, საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურატურას, კონკრეტულად, ზურაბ ადეიშვილს მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ“.**

ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოს, „დრო და სივრცის“ დირექტორმა, ახალი ხელისუფლების პირობებში, საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს, 2013 წლის 25 თებერვალს მიმართა და სააგენტოს მიერ გამოძიებული მასალა, თავისი დოკუმენტებით ჩააბარა. 23 მაისს, სააგენტომ ფინანსთა სამინისტროსგან მიიღო წერილი, რომ მათი მასალების მიხედვით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად დაიწყო. 182-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი თანამდებობის პირის მიერ, საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო 194-ე მუხლის მესამე ნაწილი, თანამდებობის პირის მიერ, ფულის გათეთრებას გულისხმობს.

„ვერსია“ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ავთო დვალიშვილს დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ტენდერში მონაწილეობა წესების სრული დაცვით მიიღო და კომპანიებშიც ის თანხა გადაიხადა, რომელიც შესწავლის შედეგად დადგინდა. ფასში გათვალისწინებული იყო გასაყიდად გამოტანილი კომპანიების მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და საქართველოს რეგიონებში არსებული ქსელების გაუმართაობა. ავთო დვალიშვილის თქმით, ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპანიამ ტენდერში ადეკვატური თანხა გადაიხადა. რაც შეეხება ჩეხური „ენერგო-პრო ჯორჯიას“ რუსეთთან კავშირს, ავთო დვალიშვილმა „ვერსიას“ განუმარტა, რომ არავითარი კავშირი ამ კომპანიას რუსეთთან არ აქვს. „ენერგო-პრო“ ჩეხური კომპანიაა, რომელსაც ჩეხეთის სახელმწიფო ბანკი აფინანსებს.

„მინდა, ქვეყანამ იცოდეს — რომ არა ბატონი დომენტი გაგნიძე, ჩემს ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა“



მომკალით და ვერაფერი გავიგე იმ ადამიანებისა, სხვისი ბედნიერება და წინსვლა რომ შურთ და ბოღმა ახრჩობთ. არადა, ასეთები ცოტანი არ არიან. ერთი, მათ ტვინში ჩამახედა, მარტო კუჭის ამოსავსებად რომ მოევლინენ ქვეყანას და სხვის გამარჯვება-მიღწევას ყველა საშუალებით ძირს უთხრიან. არ ვიცი, გსმენიათ თუ არა დომენტი გაგნიძის შესახებ. ამ სახალხო მკურნალის პრეპარატების მსგავსი, მედიცინამ არ იცის. „გაგენოლი“, „დომენტოლი“ და „ლევანოლი“ მრავალი კლინიკური გამოკვლევით დადასტურებული და რეკომენდებულია იმედდაკარგულ სნეულთათვის, რასაც უამრავი განკურნებულის გამოხმაურება მოწმობს. სამედიცინო წრეებში ეს ცნობილია, მაგრამ ნაცვლად იმისა, მხარში ამოსდგომოდნენ, დახმარებოდნენ (მას კი არა, ავადმყოფებს), აღმოჩნდნენ ვაიმედიკოსები. მათ ვგულისხმობ, ვინც ბატონ დომენტიში, მხოლოდ კონკურენტი დაინახა. დაივიწყეს ჰიპოკრატეს ფიცი, ნამუსზეც აიღეს ხელი და ლამის, გაანადგურეს კაცი. საკვირველი ისაა, რომ მათ ხმა აუწყვეს იმ უმადურებმაც, ვისაც ბატონმა დომენტიმ დახმარების ხელი გაუწოდა, გვერდით დაიყენა, მათ კი ბოროტებითა და ღალატით უპასუხეს. ამაში დაიხმარეს ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი ჟურნალისტი მელაძე, რომელმაც თავის გადაცემაში „ასი გრადუსი ცელსიუსით“, ცილისწამებისა და შხამის კორიანტელი დააყენა (რა თქმა უნდა, დაკვეთით). მახსენდება გადაცემაში ერთი ქალბატონი დედოფლისწყაროდან: საცოდავს, შვილი გარდაეცვალა და ძალზე აგრესიულად ადანაშაულებდა ბატონ დომენტის თავის უბედურებაში. გავესაუბრე იმ ქალბატონის ახლობელს, მათ ყველაფერი გაუკეთებიათ ავადმყოფის საშველად, მაგრამ ექიმებს უთქვამთ, ჩვენ უძლურნი ვართ, სამიოდე თვის სიცოცხლე დარჩაო. ამის შემდეგ მოუყვანიათ ბატონ დომენტისთან. გვითხრა, ბატონი დომენტი არაფერ შუაშია, ვიცოდით, რომ აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ დედას ვერ ვეტყოდითო. მელაძემ იმ გაუბედურებული ქალბატონის ნათქვამი გაუშვა გადაცემაში, მრავალი მადლიერი პაციენტის ჩანაწერი კი — არა. ამის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. ბატონ დომენტის დაუყადაღეს უძრავ-მოძრავი ქონება; სახლიდან წაიღეს, თუ რამ ფასეული გააჩნდა; სეიფი გაჭრეს და ნაღდი ფული გაიტანეს... გააკოტრეს კაცი, სასამართლოდან სასამართლოში არბენინეს წელიწადზე მეტი. მოკლედ, სიცოცხლე გაუმწარეს მოხუცს, არადა, პრეპარატების ანალოგი, რომლებიც ამ უბრალო კახელმა კაცმა შექმნა, არ არსებობს. ეს იციან მათ, ვინც დომენტი გაგნიძის წინააღმდეგ ბინძური კამპანია გააჩაღა! და რატომ გააჩაღა? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდია. რაც ამ ასაკოვან კაცს ცილისწამება და უსამართლობა დაატყდა თავს ამ ორი წლის განმავლობაში, გაძლება ხომ უნდა?! ბატონმა დომენტიმ, ღვთის წყალობითა და კახელი კაცის შეუპოვრობით, ყველაფერს გაუძლო და მზადაა, ემსახუროს გაჭირვებულებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დამთავრდეს ბოროტთა ბაკქანალია და მიეცეს საშუალება ბატონ დომენტის, გააგრძელოს თავისი საქმე? კი! როგორც იქნა, ბატონ დომენტის ყველა ბრალდება მოეხსნა, სასამართლოს განჩინებით ყველაფერი, რაც მისგან წაიღეს, უბრუნდება, მაგრამ რაღაც საგადასახადო წესის მომიზეზებით, თანხის დაბრუნებისგან თავს იკავებენ (არადა, საკმაოდ სოლიდური თანხა წაიღეს). თუ ვინმე დაინტერესდება ბატონ დომენტის გარშემო ატეხილი პერიპეტიებით, მტყუან-მართლის გასარკვევად შეხვდეს, მოუსმინოს და დასკვნა ისე გააკეთოს. აგერ, მისი აფთიაქი აწყურის ქუჩაზე, მეტრო „ისნის“ უკან. აგერ არიან მისი წყალობით გამოჯანმრთელებული პაციენტებიც... სხვათა შორის, ბატონი დომენტის უნიკალურმა შედეგებმა უცხოეთამდეც მიაღწია, დაინტერესდნენ კიდეც, მაგრამ ბატონი დომენტის გარშემო ატეხილმა აურზაურმა პროცესი გააჩერა. იმედია, ვითარება მალე შეიცვლება და ბატონი დომენტის პრეპარატები ყველგან გაუწევს დახმარებას უიმედო სნეულებს. მარტო ჩემს ამბავს მოგახსენებთ, მისი წამლების დახმარებით, მრავალი წლის ოცნება ამიხდა, მამა გავხდი. ჩემი ბიჭი წლინახევრისაა. ეგ რა არის! უკვე მეორე შვილსაც ველოდები. ბატონმა დომენტიმ ბედნიერ ადამიანად მაქცია და ჩემი მადლიერება ამ წერილითაც მინდა გამოვხატო. არც მწერალი ვარ, არც — ჟურნალისტი, ერთი კახელი კაცი ვარ და მინდა, ქვეყანამ იცოდეს — რომ არა ბატონი დომენტი, ჩემს ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა. თავს აღარ შეგაწყენთ, ერთს კი ვიტყვი — ღმერთმა დალოცოს ეს კაცი თავისი კეთილი საქმის კეთებისთვის. ვიცი, ამას უსურვებს ბევრი, ჩემსავით სიცოცხლისკენ შემობრუნებული. გული არ გაიტეხო, ჩემო დომენტი! სიმართლე შენს მხარესაა და გამარჯვებული იქნები.

ივანე დემინაშვილი

1. დავით აღმაშენებლის ძეგლის ავტორი
2. ქართული ყურძნის ჯიში
3. უზარმაზარი ძალის მქონე გმირი ქართ. მითოლოგიაში
4. მუსიკალური გამის III ნოტი
5. ბულბული - მეგრულად
6. წარსულში ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი
7. მოლდოვას ფულის ერთეული
8. მწერალი ... დუმბაძე
9. საქარგავი ფერადი ძაფები
10. დიდი რუსი მეცნიერი
11. აინშტაინის მშობლიური ქალაქი
12. მადრიდის „რეალის“ კაპიტანი
13. სტივ ჯობსის კომპანია
14. რუმინეთის ქალაქი, სადაც ბესიკია დასაფლავებული
15. აზნაურის ტიტული ესპანეთში
16. პირობითი ნიშნების სისტემა
17. ქვეყნიერება, მსოფლიო
18. ლეონარდო ... კაპრიო
19. ადამიანის ან ცხოველის ჩანასახი
20. გრძელი გალერეა, რომელსაც ცალ მხარეს გასდევს სვეტების მწკრივი, მეორეზე - კედელი
21. „წითელი ჯვრის“ დამაარ-სებელი
22. ცხენის კუდის ბეწვი
23. რუსული როკ-ჯგუფი
24. რვა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
25. „ორერას“ დამაარსებელი ... ბარძიმშვილი
26. მიწისქვეშეთის ერთ-ერთი მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში
27. პარიზის აეროპორტი
28. დადებითი ელექტროდი
29. ბულგარეთის დედაქალაქის ძველრო-მაული სახელწოდება
30. ავთანდილის თანამდებობა „ვეფხისტყაოსანში“
31. კალათბურთის „მეფე“
32. რბილ-ძირიანი ბეწვის ფეხსაცმელი
33. უეცარი შიში
34. ნერვული ქსოვილის სიმსივნე
35. კატის ხმიანობა
36. წმინდა მოგება ძიუდოში
37. დიდი ესპანელი ფერმწერი
38. მრავალშრიანი ფანერა
39. ფრანგი მომღერალი ... დასენი
40. საუბარი ჟურნალისტთან
41. იგივეა, რაც მადა
42. იგივეა, რაც ფერფლი
43. ლომი სიმბას მეგობარი და მეუღლე
44. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
45. მექსიკის ცნობილი კურორტი
46. შეძახილი ჭიაკოკონობის დროს
47. ევროვანი ზეთის შემცველი ბალახი
48. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში
49. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
50. სასწორის თეფში
51. „ბარსელონას“ კაპიტანი
52. მწერალი ... ტოლსტოი
53. იტალიელი ფეხბურთელი ჯანლუკა ...
54. ჰოლივუდის მსახიობი ... თურმანი
55. დედამიწის გამოსახულება სიბრტყეზე
56. (ძვ.) მეძავობა, მრუშობა
57. ნიკარაგუას დედაქალაქი
58. კავშირი, გაერთიანება
59. კერძო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება
60. იტალიური ღვეზელი
61. მშვენიერი ელენეს მომტაცებელი
62. მეფე დავით VII-ის თიკუნი
63. მსახიობი ... ნოლტი
64. იაპონური მაფია
65. რამდენი წელი ელოდა პენელოპე ოდისევსს?
66. რისამე უმცირესი რაოდენობა
67. ხეებით დაფარული სივრცე
68. ბაბლუანის ფილმი „უძინართა ...“
69. ცხვრის ჯოგი
70. ლუდის მასალა
71. ძვ. წონის ერთეული
72. მიმართვა გათხოვილი ქალისადმი გერმანიაში
73. პოლონური ხალხური ცეკვა
74. „ხელის ჭუჭყი“
75. ჩინური ტანვარჯიში

სისხლის ჩაბარება სასარგებლო ყოფილა

როგორც აღმოჩნდა, სისხლის ჩაბარება არა მხოლოდ საპატიო, სასარგებლოც ყოფილა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დონორები ხუთი წლით უფრო დიდხანს ცხოვრობენ — სისხლის ჩაბარების შემდეგ მათ ინფარქტის, ინსულტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი უმცირდებათ. ეს კი იმის გამო ხდება, რომ მავნე ნივთიერებები, რამაც შესაძლოა, ათეროსკლეროზი გამოიწვიოს, ვერ ახერხებს სისხლში დაგროვებას, თუკი ადამიანი რეგულარულად აბარებს სისხლს. გაირკვა ისიც, რომ დონორების ორგანიზმი გაცილებით სწრაფად ახალგაზრდავდება. გარდა ამისა, ასეთ ადამიანებს სისხლის ყოველი ჩაბარებისას გამოიკვლევენ ხოლმე, რაც საშუალებას იძლევა, დაავადება ადრეულ სტადიაზე გამოავლინონ და უმკურნალონ.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
29 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲥᲔᲠᲘᲗᲘ — სერიოზული პროფესიონალიზმის და გუნებრობების დღეა. არ ღირს, ახალი საქმით დაკავდეთ, სჯობს, ძველ საბუთებში გაერკვეთ. დღე სასიკეთოა სასამართლო საქმეების მოსაგვარებლად — შედეგი ნამდვილად გაგაკვირვებთ.

ᲙᲣᲠᲘ — კურიერებს ვარსკვლავები ურჩევენ, საქმიანი აქტივობა ცოტა შეანელონ, რათა ფინანსურ დანაკარგს თავი აარიდონ. სამსახურში მოსალოდნელია უსიამოვნება, მაგრამ რაც ხდება, თქვენზე არ არის დამოკიდებული.

ᲢᲧᲣᲞᲔᲑᲘ — დღე არასასურველია საქმიანი მოლაპარაკებისთვის, სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ მატერიალურ დანაკარგს. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, უთანხმოება პარტნიორებთან ან უფროსობასთან, საღამოსკენ კი, ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს მცირე უსიამოვნება გელით. საქმე, რომლითაც დაკავებული ხართ, უინტერესოდ გეჩვენებათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს შეცვლით.

ᲚᲝᲛᲘ — დღე არც ისე კარგია საკამათო საკითხების გადასაწყვეტად, დიდია ალბათობა, რომ წარმატებას ვერ მიაღწევთ. საყვარელი ადამიანის მიმართ პრეტენზიებმა, შესაძლოა, საკანდალამდე მიგიყვანოთ, დღეს ურთიერთგაგება თითქმის შეუძლებელია.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ქალწულებისთვის პროფესიების დღეა — ყველა თქვენს წინააღმდეგაა და იმას გაბრალებენ, რაც არ ჩაგიდენიათ. სხვადასხვა გაუგებრობის შედეგი მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ.

ᲬᲜᲝᲠᲘ — დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმატებულად წარმოაჩინოთ. ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲥᲐᲚᲘ — აუცილებელია, მძიმე ფიქრები მოიშოროთ, შეეცადეთ, თავი შეიკავოთ გაბრაზებისგან. ახლობელი ადამიანები ძალიან განიცდიან, თუ საკუთარ თავში ჩაიკეტებით, რადგან მათ იციან, სიკეთისა და სითბოს რა მარაგი იმალება თქვენს ცივ გამომეტყველებაში.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲜᲘ — დღეს ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. თქვენი თავდაჯერებულობა და საქმიანი აქტიურობა სწორი გადწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — სერიოზული წინააღმდეგობების დღეა, ნებისმიერი კამათი საკანდალამდე მივა, რადგან დათმობას არც ერთი მხარე არ მოისურვებს. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, გარკვეულ კომპრომისზე წახვიდეთ, საღამო კი მეგობრებთან ერთად, სასიამოვნოდ გაატაროთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — მერწყულებისთვის დაძაბული დღეა. პრობლემების გადაჭრას მარტო ნუ შეეცდებით. თქვენი ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს სამომავლო გეგმების განხორციელებასა და ოჯახურ იდილიას.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ — დღეს ძლიერდება გარემოს ნეგატიური ზემოქმედება. დაბნეულობის გამო, ძნელად აუწყობთ ფეხს სამუშაო რიტმს. დღე წარუმატებელია საქმიანი გარიგებების, შენაძენისა და ურთიერთობების გარკვევისთვის.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲝᲚᲝᲔᲑᲘ ᲐᲖᲘᲔᲚᲝᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ბოლოდროინდელი გამოკითხვებით დადგინდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო მეუღლეები აზიელი ქალები არიან. რესპოდენტი მამაკაცების თქმით, აზიელი მანდილოსნები საკმაოდ მომხიბვლელები, მშვიდები, გაწონასწორებულები და კარგი მეოჯახენი არიან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სუსტი სქესის აზიელი წარმომადგენლები დიდ დროს უთმობენ მეუღლისა და შვილების მოვლას, უანგაროდ ეხმარებიან ქმრის ნათესავებსაც. კაცების თქმით, მათი ერთ-ერთი დადებითი თვისება ისიცაა, რომ ოჯახში ფინანსური კრიზისის შემთხვევაშიც კი, სიმშვიდეს ინარჩუნებენ. გამოკითხვისას ისიც გაირკვა, რომ აზიელი ქალბატონები გულწრფელები არიან და ხშირად ქმარ-შვილის გამო, პირად კომფორტზე უარს ამბობენ.



სახლი ზურგით დააქვს

ჩინელი მამაკაცი, 38 წლის ლიუ ლინგჩაო, ლამის მთელი ცხოვრება მოგზაურობს, თუმცა ბოლო დროს, სასტუმროებში ფულს აღარ ხარჯავს, რადგან სახლი ზურგით დააქვს და იქ იძინებს. მამაკაცის საცხოვრებელი ბამბუკის, ცელოფნისა და ზეწრებისგანაა „აშენებული“. მართალია, სივრცე პატარაა, მაგრამ საცხოვრებლად გამოდგება. მის პატრონს არც წვიმისა და სიცივის დროს ექმნება დისკომფორტი. ლოკოკინასავით ზურგზე მოკიდებული სახლით ლინგჩაო ჩინეთში მოგზაურობს, რასაც სამი ასეთი ქოხი შეეწირა. მოგზაურის საცხოვრებელი 60 კილოგრამს იწონის და ამიტომ ლიუ მართლაც ლოკოკინას სიჩქარით გადაადგილდება, თავს კი სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში მოგროვილი პლასტმასის ბოთლებისა და რკინის ქილების ჩაბარებით ირჩენს.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
30 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲥᲔᲠᲘᲗᲘ — დღეს შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და ხასიათის სიმტკიცით გაოცოთ. მართალია, თქვენი ნატურიდან გამომდინარე, გუნდური პრინციპი გირჩევნიათ, მაგრამ დღეს ინდივიდუალიზმი უნდა გამოამყღავნოთ.

ᲙᲣᲠᲘ — მთელ დღეს საკუთარ ბედზე წუწუნსა და საქმიან პარტნიორებზე ლაპარაკში გაატარებთ. შესაძლოა, თქვენმა არასწორმა ნაბიჯებმა გაფუჭოს წამოწყებული საქმე. აუცილებელია, სერიოზულად მიუდგეთ თქვენს სამსახურეობრივ მოვალეობას, დღის მეორე ნახევარი კი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

ᲢᲧᲣᲞᲔᲑᲘ — ოჯახში სიმეუდროვესა და სითბოს შეიქმნით. დღის მეორე ნახევარში, შეიძლება, უსიამოვნო ცვლილებებიც მოხდეს და პირად ცხოვრებაშიც სიფრთხილე გმართებთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღე კარგია მოგზაურობისა და საქმიანი შეხვედრისთვის. შეეცადეთ, უფრო მიზანდასახული გახდეთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ჯანმრთელობას მიხედოთ.

ᲚᲝᲛᲘ — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს დაგისახავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მოგზაურობისას, უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა, მაგრამ უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, რაიმე ახალი საქმე წამოიწყოთ, სჯობს, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, მათი მოგვარების შანსი დღეს დიდია.

ᲬᲜᲝᲠᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს უამრავი საქმიანი შეხვედრა ელის, დღის მეორე ნახევარში კი, შესაძლოა, კონფლიქტი ოჯახის წევრებთან, თუმცა სჯობს, ემოციები მოთოკოთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲥᲐᲚᲘ — დღეს სათანადო ყურადღება დაუთმეთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს. სწორედ მათ დარიგებებსა და თქვენს ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ, გამოხვიდეთ შექმნილი რთული ვითარებიდან და უსიამოვნებებს თავს აარიდებთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲜᲘ —შეეცადეთ, ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი შეხვედრა დაგეგმოთ. დღეს დაწყებული ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული, მაგრამ ფინანსური საკითხები დღეს თქვენთვის არც ისე მტკივნეული თემაა. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — მერწყულებისთვის ემოციურად დაძაბული დღეა. სამსახურში საქმეს თავს ვერ აბამთ, არც პარტნიორის არჩევაში გაგიმართლათ, ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ და არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ ოპტიმიზმის გრძნობა.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ — დღეს უველაფერში იღბალი თან გდევთ. ფიქრზე დიდ დროს ნუ დაკარგავთ, თამამად შეუდექით საქმეს. თქვენი სასიცოცხლო ენერგია იზრდება. სურვილი გიჩნდებათ, რამდენიმე საქმეს ერთად შეეჭიდოთ, თუმცა სჯობს, ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარებისგან თავი შეიკავოთ.

სუდოკუ

ადვილი

				7	3	5	4	
	8		6					9
			4		5	6		
5							8	1
		4				9		
2	3							7
		8	9		4			
9					6		3	
	4	3	1	5				

სტანდარტი

1	9				4		2	
8		7	3					
		6	9					
3							5	
	4	5	1	7	2	3	8	
	6							1
					3	9		
					8	1		2
	3		7				4	8

რთული

							4	6
9					8	2		
4				6	5			1
		9	3					
2		4	1		7	3		5
					2	1		
3			9	7				2
		7	6					3
1	9							

ექსპერტი

8	7		9					3
4			2					
	2	6		1	3	8		
			7		6			
	6			5			8	
			8		1			
		3	1	2		9	5	
					5			8
5					9		2	7

ცივი კაფე ცხელ ქალაქში

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ ადგილას, არაბთა გაერთიანებული საემიროების უდიდეს ქალაქ დუბაიში, სადაც ჰაერის ტემპერატურა ხშირად 40 გრადუსს აღწევს, ყინულის კაფე Chillout Ice Cafe გაიხსნა. დაწესებულებაში, სადაც ტემპერატურა მინუს 6 გრადუსია, ყველაფერი ყინულისგანაა დამზადებული — მაგიდები, სკამები, ჭურჭელი, ფარდები, ჭაღები, სკულპტურები... იქაურობა კი სპეციალური შუქდიოდური ნათურებითაა განათებული, რომელიც სითბოს არ გამოსცემს. სკამები და სავარძლები აკრილისა და ბეწვის ხალიჩებითაა დაფარული, თუმცა ამის მიუხედავად, მომსახურე პერსონალი, ძირითადად, რუსებისა და რუმინელებისგანაა დაკომპლექტებული, რადგან არაბებს ასეთ პირობებში მუშაობა ძალიან უჭირთ.

ყველაზე დიდი მკერდი 6 შვილის დედას აქვს

45 წლის ამერიკელმა ლეისი უაილდმა 13 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელი რომ გამხდარიყო. ამასთან, ლეისი ასწრებს ექვსი შვილის აღზრდას, სხვადასხვა ჟურნალისთვის ინტერვიუების მიცემას და დასვენებას. ცოტა ხნის წინ, პაპარაცებმა ეს გლამურული მრავალშვილიანი დედა სანაპიროზე გამოიჭირეს. დიდმკერდიანი ლამაზმანი აცხადებს, რომ უზომოდ მოსწონს საკუთარი, 11 ზომის ბიუსტი. ვიდრე ქალბატონი უაილდის ცხოვრებაში პლასტიკური ქირურგია შეიჭრებოდა, ის საკმაოდ მოხდენილი ქალი იყო, მაგრამ შვილების გაჩენამ და ასაკმა აღნაგობა გაუფუჭა, რამაც იგი სხეულის გალამაზების მეთოდებზე დააფიქრა. ლეისიმ ჯერ ტუჩები და საჯდომი დაიბერა, გაიდიდა მკერდი, საბოლოოდ კი, 13 ოპერაციის შედეგად, ქვეყანაში ყველაზე დიდი ბიუსტის მფლობელიც გახდა.

მარწყვი სიბერეს ებრძვის?

ესპანელი და იტალიელი სწავლულების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ მარწყვს შეუძლია დაბერების პროცესი შეაჩეროს და ადამიანი სიმსივნისგან დაიცვას, მიზეზი კი ისაა, რომ ეს ხილი სისხლში ანტიოქსიდანტების დონეს ზრდის, რაც ორგანიზმში დამჟანგავ პროცესებს ებრძვის და კიბოს, დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების წარმოქმნის ალბათობას აქვეითებს. მეცნიერებმა მარწყვის თვისებები ჯანმრთელ მოხალისეებზე შეამოწმეს — მათ ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, 500 გრამ ხილს აძლევდნენ. 4, 8, 12 და 16 დღის, ასევე ერთი თვის შემდეგაც მათი სისხლის ნიმუშები შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ მარწყვი ჰემოლიზსაც (წითელი უჯრედების დაშლა) აღკვეთს. გრანადის უნივერსიტეტის თანამშრომლები კი ირწმუნებიან, რომ მარწყვის ძალა მასში ფენოლნაერთების მაღალი კონცენტრაციით აიხსნება, რომელსაც ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს.

წონის დაკლებაში პარფიუმი დაგეხმარებათ

ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აწუხებს, ამიერიდან ზედმეტი კილოგრამების მოცილებაში სასიამოვნო საშუალება, პარფიუმი დაგეხმარებათ. ფრანგი სწავლულების ამ მიგნებას Prends-Moi ჰქვია და ის ბეტა-ენდორფინებს შეიცავს, რომელიც მადას აქვეითებს. ფრანგული სახლის Robertet მიერ შემუშავებული ეს გასაოცარი არომატიც სწრაფად იკრებს პოპულარობას სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებში, ვისაც სჯერა, რომ მისი წყალობით სწრაფად მოიშორებს არასასურველ კილოგრამებს. პრეპარატის საიდუმლო სპეციალური ინგრედიენტების მთელი სერიაა, მთავარი ნივთიერება კი ბეტაფროლინია, რომელიც ორგანიზმში ბეტა-ენდორფინების გამომუშავების სტიმულირებას იწვევს. ეს უკანასკნელი კი სიგნალს აწვდის ტვინს, რომ მეტი ჭამა საჭირო აღარ არის. პარფიუმერული პრეპერატი კოფეინს, კარნიტინსა და სპირულინის ექსტრატსაც შეიცავს, რაც ცხიმს სწრაფად შლის. როგორც გამოკითხვებმა აჩვენა, 18-დან 75 წლამდე ასაკის ქალბატონების 75%-მა აღნიშნა, რომ პარფიუმის გამოყენებიდან 4 კვირის შემდეგ მადა მკვეთრად შეუმცირდათ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	8	1	9	7	6	4	3	2
4	3	2	1	5	8	9	7	6
9	7	6	4	3	2	1	5	8
7	6	9	8	2	5	3	1	4
2	5	4	7	1	3	8	6	9
3	1	8	6	4	9	5	2	7
1	4	5	2	9	7	6	8	3
6	2	3	5	8	4	7	9	1
8	9	7	3	6	1	2	4	5

სტანდარტი

7	2	6	1	4	3	5	8	9
3	8	5	2	9	7	1	6	4
4	1	9	8	6	5	7	2	3
2	9	8	5	3	1	4	7	6
1	7	4	6	8	9	3	5	2
5	6	3	7	2	4	9	1	8
9	5	2	4	7	8	6	3	1
6	4	1	3	5	2	8	9	7
8	3	7	9	1	6	2	4	5

ადვილი

1	9	8	4	3	7	2	6	5
7	6	5	2	9	8	4	3	1
3	4	2	1	6	5	9	7	8
8	2	9	7	1	6	5	4	3
6	3	1	5	4	2	8	9	7
5	7	4	9	8	3	1	2	6
2	1	7	3	5	4	6	8	9
9	8	3	6	2	1	7	5	4
4	5	6	8	7	9	3	1	2

სტანდარტი

5	6	3	4	9	2	8	7	1
4	2	1	7	6	8	9	5	3
9	8	7	5	3	1	4	6	2
3	5	9	8	4	7	2	1	6
2	1	8	6	5	3	7	9	4
7	4	6	2	1	9	5	3	8
1	3	4	9	2	5	6	8	7
8	9	2	3	7	6	1	4	5
6	7	5	1	8	4	3	2	9

რთული

3	9	6	8	7	2	5	1	4
1	4	8	9	6	5	7	3	2
5	2	7	3	4	1	9	6	8
9	5	4	7	1	8	6	2	3
8	3	2	6	5	4	1	9	7
7	6	1	2	9	3	4	8	5
2	1	9	5	3	7	8	4	6
6	8	5	4	2	9	3	7	1
4	7	3	1	8	6	2	5	9

ექსპერტი

7	5	2	6	4	8	1	3	9
4	9	3	1	2	7	8	6	5
1	8	6	9	5	3	7	4	2
5	7	4	3	1	2	9	8	6
6	2	9	5	8	4	3	1	7
8	3	1	7	9	6	5	2	4
3	6	8	4	7	5	2	9	1
2	1	7	8	6	9	4	5	3
9	4	5	2	3	1	6	7	8

რთული

6	4	5	9	3	2	1	8	7
2	9	8	5	1	7	6	4	3
1	3	7	6	4	8	2	9	5
3	8	6	2	7	1	9	5	4
9	7	4	8	6	5	3	2	1
5	2	1	4	9	3	8	7	6
4	1	3	7	2	9	5	6	8
8	6	9	3	5	4	7	1	2
7	5	2	1	8	6	4	3	9

ექსპერტი

5	3	9	8	1	7	4	6	2
6	4	7	5	3	2	1	9	8
2	8	1	9	6	4	7	3	5
9	5	8	1	7	6	3	2	4
4	2	6	3	9	8	5	1	7
1	7	3	4	2	5	6	8	9
3	1	4	2	5	9	8	7	6
8	6	2	7	4	3	9	5	1
7	9	5	6	8	1	2	4	3

მე-17 გვერდი: 1. მარჩბი-ვი; 2. ანტრე; 3. „ჩარდაში“; 4. ირაო; 5. კონკლავი; 6. ოლეანდრი; 7. კლეფსიდრა; 8. ანოა; 9. შტურმანი; 10. მისიონერი; 11. კაასი; 12. ნიჭი; 13. პენელოპე; 14. ავი; 15. იროკეზები; 16. „ონა“; 17. კამეა; 18. გამაში; 19. ისანი; 20. არმანიაკი; 21. მესია; 22. დვირი; 23. ბუ; 24. სურდო; 25. კაფია; 26. ხრიდოლი; 27. ბუმერი; 28. ნიორი; 29. რაქიტი; 30. კოსინუსი; 31. ფორტუნა; 32. აჰასფერი; 33. იონიკა; 34. რკალი; 35. სინაი; 36. „სირტაკი“; 37. ბაერი; 38. იოანე; 39. ანექსია; 40. სასა; 41. ორხაო; 42. ტრიო; 43. ორი; 44. ბუასტი; 45. ზოდი; 46. ნიუ; 47. ფონ; 48. ალემაო; 49. რიანა; 50. უანდერი; 51. სუ; 52. მორალი; 53. მასტიტი; 54. აირი; 55. რიკეტსია; 56. სადილი; 57. ტუ; 58. იაია; 59. პი; 60. ადიუ; 61. ესე.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

პერანგი, რომელსაც გარეცხვა არ სჭირდება

ამერიკელმა ენთუზიასტმა მაკ ბიშოპმა, მეგობრებთან ერთად, პერანგი შექმნა, რომელიც შეგიძლიათ 100 დღის განმავლობაში ისე გეცვათ, არც გარეცხვა და არც დაუთოება დასჭირდეს. ეს მამაკაცების უმრავლესობის ოცნებაა, რომლებიც უპირატესობას ჯინსს მისი უნივერსალობის გამო ანიჭებენ, მაგრამ აქამდე მისი შესაფერისი, ფუნქციური მაისური არ ჰქონდათ. პერანგი მატყლის ძაფისგანაა დამზადებული და ოფლის სუნს შთანთქავს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.